ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 1 თებერვალი, 2018 №26 (7571) ფასი: 50 თეთრი

ჯელალ ქიქავა: „რამდენიმე წელიწადში აჭარაში ეკოლოგიური კატასტროფა იქნება“

გვ.4

1 თებერვლიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

რატომ უწოდებენ „ევროპულ საქართველოს“ ლავროვის პარტიას

მირიან მირიანაშვილი: „საქართველოში უნდა მიხვდნენ, რომ პოლიტიკური რევოლუციური ცვლილებები დგება“

„ივანიშვილს რად უნდა ქვეყნის პრეზიდენტობა, როდესაც პრეზიდენტიც ის არის, პრემიერიც და პატრიარქიც“

გვ.2

რომან გოცირიძე: „დამარცხებული კრიმინალი და კორუფცია ისევ ბრუნდება“

მთავარი პროკურორი მაჩალიკაშვილებთან შესახვედრად მზადაა

გვ.3

ოთარ ანგურიძე: „მხოლოდ დიზელის შემოტანის აკრძალვა საკმარისი არ იქნება“

გვ.5

სამართალი

გვ.7

ციანიდის საქმის განხილვა 7 თებერვალს განახლდება

გიორგი გახარია: „12-14 წლამდე ბავშვები, რომლებიც ჩადიან დანაშაულს, უბრალოდ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩნენ“

51-ე სკოლის მოსაწავლეების მკვლელობა — ირაკლი შოთაძემ დაკავებულთა ადვოკატების კითხვებს უპასუხა

ეკონომიკა

გვ.6

ყველა მეტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერდა

რომელ კლინიკებში, აფთიაქებსა და ესთეტიკურ ცენტრებში გამოვლინდა დარღვევები

გვ.4

მამუკა ხაზარაძე: „მოვითხოვე, რომ ქვეყანაში დიზელის საწვავის შემოტანა აიკრძალოს“

კობა გვენეტაძე: „კრიპტოვალუტის ფლობა და ოპერაციებიც, საგრძნობ ფინანსურ რისკებთანაა დაკავშირებული“

ISSN 1987-9385

5 2017 წელს საქართველოს ბანკებმა 3 მილიარდ 583 მილიონი ლარი შემოსავალი მიიღეს

8 აშშ-მ რუსეთს უკან დაახევინა

6 ნატახტრის სასაკლაო „თიბისი ბანკის“ საკუთრებაში გადავიდა

8 სვანიძემ შევჩენკოს სილა გააწნა — მუშტი-კრივი „კომსომოლსკაია პრავდას“ ეთერში

„ივანიშვილს რად უნდა ქვეყნის პრეზიდენტობა, როდესაც პრეზიდენტიც ის არის, პრემიერიც და პატრიარქიც“

ნონა ცაბაძე



რომან გოცირიძე: „დამარცხებული კრიმინალი და კორუფცია ისევ ბრუნდება“

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე აფასებს.

– ბატონო რომან, თქვენი პარტიის ლიდერებისგან გვესმის შეფასებები, რომ სიტუაცია უარესობისკენ მიდის, ხელისუფლებას კი ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობის აღება არ სურს. უმრავლესობის მხრიდან გაიღერა ინიციატივებმა, რომელთა მიღებასაც პარლამენტი გეგმავს სიტუაციის გამოსწორების მიზნით.

– თუ ჩვენ დავაკვირდებით ხელისუფლების უკანასკნელ განცხადებებს, რომლებიც მხოლოდ პროპაგანდისტული ხასიათისაა, ჩვენ დავინახავთ, რომ ხელისუფლებამ სერიოზული კრახი განიცადა მრავალი მიმართულებით და როდესაც უკვე გამოუვალი მდგომარეობაა, ახლა დაფაცურდნენ, რომ როგორმე ეს ვითარება გამოასწორონ.

– კონკრეტულად რა ვითარებაზეა საუბარი?

– ერთ-ერთი ასეთი მტკივნეული საკითხი მათთვის არის საქართველოში კრიმინალის აღზევება და თანდათანობით საზოგადოებაში ამ ქურდული მენტალიტეტის დაბრუნება. უკვე მასობრივად დაიწყო ბინების გაქურდვა, რაც ძალიან დიდი ხნის დავიწყებული იყო საქართველოში, მანქანების ნაწილების მოპარვა და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორებიც არის ტერორისტების პარპაში ქვეყანაში და გახშირებული კრიმინალური გარჩევები ახალგაზრდებსა თუ სხვა თაობაში.

– ხელისუფლების განცხადებებს როგორ შეაფასებთ?

– არავინ იცის, რა იგულისხმება მათ განცხადებებში, ეს პიარისთვის დასჭირდათ. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, საქართველოში მოისპო ორგანიზებული ქურდობა, მაფია. ეს ისტორიაში უპრეცედენტი ფაქტი იყო, ქვეყანაში 2-3 წელიწადში განადგურდა ქურდული მენტალიტეტი. იტალიაში ამას ნახევარი საუკუნე ებრძოდნენ და ამერიკაში და ბევრ სხვა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული დანაშაულობები აღმოფხვრილი. ამათ ეგონათ, რომ ეს ძალიან მარტივი რამ არის და თუ ის კურსი არ გაგრძელდებოდა, ამით არაფერი შეიცვლებოდა და ეს თავისთავად შენარჩუნდებოდა. თუმცა დავინახეთ, რაც მოხდა.

– რა მოხდა?

– მოხდა ამ კურსის მთლიანი ჩავარდნა და ამის მთავარი მიზეზი არის დაუსჯელობის სინდრომის გაჩენა ქვეყანაში. ადამიანებს გაუჩნდათ განცდა, ისე, როგორც იყო შევარდნაძის დროს, რომ შეიძლება ჩადენილი დანაშაულისთვის არ აგონ პასუხი. როგორ შეიძლება არ აგონ პასუხი?! შევარდნაძის დროს ამას თავს არიდებდნენ ფულით, პოლიტიკურად გავლენიანი ადამიანების მფარველობით, ე.წ. ინტელიგენციის მფარველობით, ან კრიმინალის და ქურდის ჩარევით ხდებოდა, რომელიც იმ დროს მინისტრის რანგში იყო აყვანილი. ქურდებთან მეგობრობა, მათთან სურათის გადაღება კარგ ტონად ითვლებოდა.

– დღეს რა სიტუაციაა ამ კუთხით?

– დღესაც გაჩნდა ეს დაუსჯელობის სინდრომი. კონკრეტული ნიშნებით, გარკვეული წრის მფარველობით აღარ სჯიან დამნაშავეებს. ყველაზე მთავარი არის პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლა, რამაც გამოიწვია დაუსჯელობის სინდრომის გაჩენა ქვეყანაში.

– „ოცნების“ წევრები ამტკიცებენ, რომ არც ერთი კანონიერი ქურდი დღეს საქართველოში არ იმყოფება. ასე არ არის?

– არ იმყოფება ერთია, მაგრამ მათი გავლენა ძალიან დიდია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე და ამ ხელისუფლებაზე. ხელისუფლებამ კანონიერი ქურდები გამოიყენა არჩევნებში! ყველა არჩევნებში კანონიერი ქურდები რუსეთიდან ან უცხოეთის სხვა ქვეყნებიდან მართავდნენ ადგილობრივ ქუჩის ბიჭ-ბუჭობას, მოკრიმინალო ელემენტებს და ისინი ყველა საარჩევნო უბანზე იდგნენ ორგანიზებული სახით. ქუჩასთან საარჩევნოდ თანამშრომლობა ამ ქურდული მენტალიტეტის გაღვივების ერთ-ერთი ფაქტორი იყო. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ათასობით ადამიანი გამოუშვეს გარეთ და მათ შორის კრიმინალები.

– კანონის გამკაცრება გამოასწორებს სიტუაციას?

– კანონის გამკაცრება კი არ არის საჭირო, არამედ კანონის შესრულება. ამ მხრივ ძალიან დიდი სხვაობაა იმ ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის. კანონი უნდა კანონობდეს ყველასთვის. არ უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ პირს სასჯელს ააცილებენ ამა თუ იმ მიზნით. კიდევ ერთი პოპულისტური განცხადება იქნა ამავე დღეებში გაკეთებული.

– რომელს გულისხმობთ?

– იმის თაობაზე, რომ გამკაცრდება კანონმდებლობა სახელმწიფო პირების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. ამით უნდათ გააბათილონ ის სამარცხვინო და სასაცილო პროცესი, რაც შეწყალების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. სააკაშვილმა შეიწყალა 179 პირი და ხელისუფლება და მასთან დაახლოებული მედია ცდილობენ, რომ ამას უწოდონ გირგვლიანის საქმე.

სინამდვილეში კი მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა და შეწყალების უფლების გამოყენებისთვის პრეზიდენტს მიუსაჯეს სასჯელი. შეწყალების აქტი არის კონსტიტუციით მინიჭებული პრეზიდენტის უფლება და ის პასუხს აგებს მხოლოდ მორალურად. ეს არის საერთაშორისო ცხოვრების წესში მიღებული ნორმა, რომელიც მოქმედებს საქართველოში და ახლა უნდათ ამ და ბევრი სხვა ნორმის ვითომ შეცვლა და კანონის განმტკიცება ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვის კუთხით.

– არ მომხდარა თანამდებობის ბოროტად გამოყენება?

– სინამდვილეში, ამ ხუთი წლის განმავლობაში, სწორედ ეს ხელისუფლება იყენებდა ძალაუფლებას ბოროტად, ერეოდა სასამართლოს საქმეებში, ადამიანებსაც კი იტაცებდა. უამრავი დანაშაული ჩაიდინეს და ამ ხუთი წლის განმავლობაში არც ერთი მაღალი თანამდებობის პირი არ დასჯილა. ერთადერთი, ვინც დაიჭირეს, ეს იყო მერიის თანამშრომელი, რომელმაც 3.000 დოლარი აიღო ქრთამის სახით.

ასეთი განცხადებებით, რომელთაც ჯერ კანონპროექტის ფორმაც კი არ აქვს, სურთ გადაფარონ ის ნეგატიური სიტუაცია, რაც შექმნილია ქვეყანაში. ყველაზე დიდი მონაპოვარი ქვეყანაში – დამარცხებული კრიმინალი და კორუფცია – ნელ-ნელა ქვეყანას უბრუნდება. აი, ეს არის საგანგაშო.

– რა არის ამის მიზეზი?

– ამის მიზეზი არის ქვეყანაში არსებული არაფორმალური მმართველობა. არავინ არ იცის ქვეყანაში, ვის როდის მოხსნიან. პრემიერ-მინისტრმა არ იცის, როდის მიიღებს მისი მოხსნის გადაწყვეტილებას მთავარი პირი. აბსოლუტურად ყველაფერი არაფორმალურ მმართველთან თანხმდება. ქვეყანაში არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების სწრაფი მექანიზმი. სად სცალია ქვეყნისთვის ივანიშვილს, უამრავი თავსატკივარი აქვს. იქით პროცესები, ასი მილიონი დაუკარგა ვიღაც შვეიცარიელმა და აქეთ ხეების გადარგვის პრობლემები და რა ვიცი...

– პრეზიდენტობა უნდაო და ამაზე რას ფიქრობთ?

– არა, ეს სასაცილოა. რად უნდა ქვეყნის პრეზიდენტობა, როდესაც პრეზიდენტიც ის არის, პრემიერიც და პატრიარქიც. რატომ აიტკივებს აუტკივარ თავს?! ყველა გადაწყვეტილებას ისედაც ის იღებს. რაში სჭირდება ზედმეტი თავის ტკივილი, პასუხისმგებლობის აღების გარეშეც პირველია.

ქვეყანა ამ არაფორმალური მმართველობის პირობებში განიცდის ინსტიტუციურ დეგრადაციას! ეს, საბოლოო ჯამში, გამოიღებს უკიდურეს შედეგებს. სურათი არის უმძიმესი.

– გამოსავალი ამ სიტუაციიდან?

– გამოსავალი არის ის, რომ საკუთარ ბედს მაინც ჭედავს თავად ხალხი. საჭიროა ხალხის გამოფხიზლება. ადრე თუ გვიან ხალხი მაინც მიხვდება, რომ ქვეყანა უკან მიდის და ამ პოლიტიკით მას პერსპექტივა არ აქვს.

„მიწის გაყიდვის აკრძალვა ცუდი იქნება!“

ინვესტორთა საბჭო პრემიერს წერილით მიმართავს

ინვესტორთა საბჭოს წევრები მიწის ორგანულ კანონზე მუშაობის შესახებ მწირი ინფორმაციის გამო, უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

საბჭოს წევრებმა პრემიერს შესაბამისი წერილითაც მიმართეს.

წერილში აღნიშნულია, რომ ინვესტორთა საბჭო ელოდება დეტალურ განმარტებას თუ როგორ მოხდება ორგანული კანონის ფორმულირება.

– ინვესტორთა საბჭოს წევრები თანხმდებიან, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებაზე დაწესებულ აკრძალვას ნეგატიური გავლენა ექნება საქართველოში ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე, თუკი არ იქნება დაშვებული სპეციალური გამონაკლისები. თუკი აღნიშნული გამონაკლისები იქნება გათვალისწინებული ორგანულ კანონში, ნეგატიური გავლენა შესაძლოა შემცირდეს.

კანონის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მხარემ. ინვესტორთა საბჭოს ჯგუფიც სექტემბრიდან ელოდება აღნიშნულ განხილვებში მონაწილეობას.

ამასთან, რიგმა დონორებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ საქართველოს კანონის შემუშავებაში ტექნიკური დახმარება გაუწიონ, რათა ქვეყანამ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა დანერგოს.

სამწუხაროდ, ამ დრომდე არ მოგვეცა საშუალება, რომ კონსულტაციებში ჩავერთოთ. პარლამენტის წევრების განცხადებები კი აჩვენებს, რომ კანონზე მუშაობა დაიწყო კონსულტაციების გარეშე, – ნათქვამია ინვესტორთა საბჭოს მიერ პრემიერისთვის მიწერილ წერილში.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორი დაჭრილი მოზარდი შეიყვანეს

31 იანვარს, საღამოს რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორი დაჭრილი მოზარდი შეიყვანეს. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, დაჭრილი მოზარდები თბილისის №35-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.

არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ მათგანს ფილტვის არეში შემავალი ჭრილობა აქვს მიყენებული.

„ბიზნესთან მიმართებაში რაიმე დიდი პრობლემა არ გვაქვს“

„ბიზნესი კარგად ვითარდება, ეკონომიკაც კარგად ვითარდება“, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ ბიზნესასოციაციის წევრებისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა.

ალავიძის თქმით, სახელმწიფოსთვის ბიზნესთან უშუალო კონტაქტი მნიშვნელოვანია.

– მსგავსი შეხვედრები ხშირად გვაქვს და მომავალშიც გაგრძელდება. დღეს ბიზნესის წარმომადგენლებთან მათ პრობლემებზე ვისაუბრებთ. ისინი მიიღებენ მეტ ინფორმაციას იმ რეფორმებთან დაკავშირები, რასაც სახელმწიფო გეგმავს, – განაცხადა ალავიძემ.

მისივე თქმით, ბიზნესთან მიმართებაში არის საკითხები, რომლებსაც მსგავს შეხვედრებზე, როგორც წესი, განიხილავენ და შემდეგ შესაბამის გადაწყვეტილებას იღებენ.

– ბიზნესი კარგად ვითარდება. ასევე ეკონომიკაც კარგად ვითარდება. რომ გითხრათ, რაიმე დიდი პრობლემა გვაქვს აღნიშნულ სექტორთან მიმართებაში, ასეთი პრობლემა არ გვაქვს, – აღნიშნა ალავიძემ.

საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებსა და დედაქალაქის მერ კახა კალაძეს ხვდებიან. შეხვედრაზე ბიზნესასოციაცია წარმოადგენს კვლევას – „საქართველოს ბიზნესგარემო კერძო სექტორის თვალით“.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რატომ უწოდებენ „ევროპულ საქართველოს“ ლავროვის პარტიას

მირიან მირიანაშვილი: „საქართველოში უნდა მიხვდნენ, რომ პოლიტიკური რევოლუციური ცვლილებები დგება“

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის კონგრესი განიხილავს „კრემლის მოხსენებას“, რომელიც მოიცავს რუსეთის 210 გავლენიანი პირის სიას. შავ სიაში მოხვედრილი მაღალჩინოსნების, მსხვილი ბიზნესმენებისა და სახელმწიფო კომპანიების წარმომადგენლების მიმართ სხვადასხვა დროს ამოქმედდება ახალი ამერიკული სანქციები. რა კავშირი აქვს ამას საქართველოსთან? ამაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– სანქციების პოლიტიკა რუსეთის მიმართ დიდი ხანია ამოქმედებულია. დადგა ახალი ეტაპი – უფრო მაღალი და რუსეთისთვის მძიმე რაუნდი. ახალ სანქციებში ხვდება რუსეთის პოლიტიკური, სახელისუფლებო და ეკონომიკური ელიტა. არ გამართლდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ სანქციების ახალ სიაში შეიყვანდნენ მხოლოდ 50 ოლიგარქს და მათი ოჯახების წევრებს. სია უფრო ფართოა და, რაც მთავარია, მოიცავს მაღალჩინოსნებს.

საქართველოზე ყოველთვის აისახება ის, რაც აშშ-სა და რუსეთის ფედერაციას შორის ხდება. ჩვენთვის მთავარია, გავხდეთ მიმდინარე პროცესების შედეგის ბენეფიციარი. ხდება მოვლენები, რომლებმაც საქართველოზე რუსეთის წნეხი უნდა შეამციროს. დაახლოებით სამი კვირის წინ განისაზღვრა რუსეთის ოლიგარქების კრიტერიუმები.

– ე.ი. დადგინდა, ვის შეეხებოდა ახალი სანქციები?

– დიახ. აშშ-ის სენატის კომიტეტებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, რომელი კატეგორიის ბიზნესმენებს შეიყვანდნენ სიაში. პირველი კრიტერიუმი ფინანსური იყო, მეორე – კრემლთან რაიმე კონტაქტის, თუნდაც ერთჯერადი ურთიერთობის არსებობა. ამ პირების ქონება უნდა ყოფილიყო მილიარდ დოლარზე მეტი.

– ამ დეტალების ცოდნის გარეშეც საზოგადოებას ეგონა, რომ ამ სიაში ქართველებიც მოხვდებოდნენ..

– არსებობდა ინტრიგა, რომ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების სიაში მოხვდებოდნენ მდიდარი ქართველები. ეს არ იყო გამორიცხული. 29 იანვრის მოხსენებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა – სანქციები ამ ეტაპზე არ უნდა შეხებოდა ეთნიკურ ოლიგარქიულ ელიტებს.

– ეთნიკურ ოლიგარქიულ ელიტებში რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მსხვილი ბიზნესმენები მოიაზრებიან?

– ასეთები მარტო საქართველოში არ არიან. უზბეკეთს, ყაზახეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს ჰყავს რუსეთთან დაკავშირებული ბიზნესმენები. ისინი ყველა სხვა, საიდუმლო სიაში შეიყვანეს.

– „კრემლის მოხსენების“ 210 კაციან სიას საიდუმლო სია ახლავს?

– სწორედ ასეა. იქ არიან შეყვანილი ეთნიკური ოლიგარქიული წრეების წარმომადგენლები.

– ისინი ჯერჯერობით დაინდეს?

– მათ სერიოზული გაფრთხილება მისცეს. ვაშინგტონის გზავნილი ასეთია – ეს ოლიგარქები კორექტულები და ფრთხილები უნდა იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ჯერი დადგება. ჩვენი პოლიტიკური ელიტის წამმზომი ჩაირთო.

– რა უნდა გააკეთოს პოლიტიკურმა ელიტამ?

– პოლიტიკური სივრცე უნდა გათავისუფლდეს იმ პერსონალიებისა და ჯგუფებისგან, რომლებიც საქართველოში პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიან.

– ამაზე ზოგადად ბევრი საუბარია.

– ახლა გადამწყვეტი მომენტი დგება. შეიძლება ეს ზოგმა არ იცოდეს, მაგრამ საქართველოში პოლიტიკური პარტიები იქმნება რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის დაკვეთითა და უშუალო მონაწილეობით.

– პროდასავლური პარტიები ამ ნათქვამს არ დაეთანხმებიან.

– რა აქვს დეკლარირებული პარტიას, ამას მნიშვნელობა არ აქვს. პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში წარმართავდა მოსკოვი. რუსეთის შეკვეთით ჩამოყალიბებული ჯგუფების აქტივობა უნდა დამთავრდეს. ადრინდელმა ანტირუსულმა სანქციებმა კრემლს გადააწყვეტინა საქართველოსთან ურთიერთობის ფორმატის კორექტირება. რამდენიმე თვის წინანდელმა სანქციებმა შეაფერხა რუსეთის უშიშროების სამსახურის მუშაობა. ამის გამო კრემლმა საქართველოსთან ურთიერთობის კურირება დაავალა პირადად საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს.

– ეს უჩვეულო ვითარებაა.

– საქართველოს ბოლო სამი საგარეო საქმეთა მინისტრი, მათ შორის, მოქმედი, ლავროვის დანიშნულია. თბილისი მოსკოვთან ათანხმებდა დასავლეთის სახელმწიფოებში დასანიშნი ელჩების კანდიდატურებს. დასავლეთში ყველაფერი კარგად იციან. მათ შორის, პარტია „ევროპული საქართველოს“ ჭეშმარიტი დანიშნულება.

– დასავლეთის თვალში რას წარმოადგენს „ევროპული საქართველო“?

– ამ ორგანიზაციას ლავროვის პარტიად მოიხსენიებენ. „ევროპული საქართველო“ უნდა გამხდარიყო საქართველოში რუსეთის მთავარი საყრდენი. ლავროვის საქმიანობის ეპიცენტრი ის უკვე გახდა.

– ეს გეგმები სანქციების გამო ჩაიფუშა?

– ბუნებრივია. ყველასთვის მოულოდნელად, სანქციების სიაში შეიყვანეს დასავლეთთან კონტაქტების მქონე ლავროვი. ბევრი დეკორაცია ჩამოიშალა. პოლიტიკოსები ვეღარ გამართავენ იმ სპექტაკლებს, რომლებსაც დგამდნენ კრემლის დავალებით.

საქართველოში უნდა მიხვდნენ, რომ შიდა და საგარეო პოლიტიკური რევოლუციური ცვლილებები დაიწყო. თუ ახლა მაინც არ შეიცვალნენ, ეს ლიდერები თვითონაც დაზიანდებიან და სახელმწიფოსაც აზარალებენ. ზოგიერთი სანქციებშიც მოხვდება. ერთ ინტერვიუში ანაკლიის პორტის აფიორას შევეხე. მინდა დავძინო, რომ ანაკლიის პროექტი ანტიამერიკული იდეაა.

– იმიტომ, რომ რუსეთს აძლევს ხელს?

– სწორედ რომ რუსეთის ინტერესებშია, ვითომ ქართული პორტის აშენება იმ ტერიტორიის ყურის ძირში, რომელსაც მთლიანად ის აკონტროლებს. მეორეხარისხოვანი ამერიკული დეველოპერული კომპანიის მონაწილეობა ამ საქმეში არაფერს ცვლის. ანაკლიის პორტი ამ სახით არის ამერიკელებისა და ჩინელების მოტყუება. დგება დრო, როცა რუსეთი აღარ ჩაერევა მეგაპროექტებში საქართველოს მონაწილეობით.

– საქართველოს პოლიტიკური ელიტა ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს?

– ძნელი სათქმელია. წინა კვირების განმავლობაში, როცა მოსალოდნელ სანქციებზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო, ბევრ ადამიანთან მქონდა კომუნიკაცია. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენს ვითომ ელიტას არანაირი კავშირი არ გააჩნია დასავლეთის გავლენიან ცენტრებთან. ბევრ რამეზე ამ ადამიანებს წარმოდგენაც არ გააჩნიათ. ამას მოწმობს ებრაული ლობის ჩართვა ამერიკელებთან საქმის მოსაგვარებლად. ეს ხდება მაშინ, როცა ღიად ითქვა, რომ ამ პროცესში ლობიზმს არ დაუშვებდნენ. თუ მე შევინარჩუნე ძველი კავშირები და მეტ-ნაკლებად ვიცი, რა ხდება, რატომ ვერ ახერხებს პროცესებში გარკვევას ელიტა, გაურკვეველია.

– ჩვენი ელიტა არაინფორმირებულიცაა?

– ეს აშკარაა. იმედი მაქვს, ეს ადამიანები იმას მაინც მიხვდებიან, რომ სულ სხვა რეალობა დადგა და მიდგომებს შეიცვლიან.

მთავარი პროკურორი მაჩალიკაშვილებთან შესახვედრად მზადაა

შორენა მარსაგიშვილი

ჩავა თუ არა ირაკლი შოთაძე პანკისში

საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე მზადაა თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდეს. მისმა უწყებამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას 19 წლის ახალგაზრდის დაჭრის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე მიმდინარეობს.

ირაკლი შოთაძესთან შეხვედრა ოჯახის წევრებმა წინა კვირას, 26 იანვარს სოფელ დუისში გამართულ მორიგ აქციაზე მოითხოვეს. მთავარი პროკურორის მოსმენა სურთ ხეობის უხუცესებსაც.

გუშინ, 31 იანვარს შოთაძემ განაცხადა, რომ პროკურატურის წარმომადგენლები მზად არიან მაჩალიკაშვილების ოჯახს შეხვდნენ.

– ყველასთან შეხვედრისთვის მზად ვარ. ჩვენს საგამოძიებო დანაყოფში მაჩალიკაშვილის გარდაცვალებაზე გამოძიება გამჭვირვალეა. ოჯახს სრული წვდომა აქვს გამოძიების მიმდინარეობაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, დანიშნულია ექსპერტიზები. საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია ექნება, – აცხადებს ირაკლი შოთაძე.

გარდაცვლილის ოჯახი იმ სპეცრაზმელის დასჯასაც ითხოვს, ვინც სპეცოპერაციისას თემირლან მაჩალიკაშვილს ესროლა.

ჟურნალისტების კითხვაზე, დადგება თუ არა სპეცრაზმელის პასუხისმგებლობის საკითხი, შოთაძე ასე პასუხობს:

– ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება და დანიშნულია ექსპერტიზები, რის შემდეგაც დეტალებზე ინფორმაცია მიეწოდება გარდაცვლილის ოჯახს.

მთავარი პროკურატურის განცხადებას მაჩალიკაშვილებიც გამოეხმაურნენ. ოჯახის ადვოკატის, მარიამ კუბლაშვილის განცხადებით, შოთაძის ინიციატივა მხოლოდ მისასალმებელია.

ამასთან ამბობს, რომ თუ ასეთი შეხვედრა მართლაც შედგება, ის აუცილებლად პანკისში უნდა შედგეს და მას უხუცესებიც უნდა დაესწრონ.

– ჩვენ გვსურს დავაზუსტოთ შეხვედრის დეტალები, კერძოდ, თუ სად გაიმართება ეს შეხვედრა. მე გავაჟღერებ პანკისის ხეობის მკვიდრების, უხუცესთა საბჭოს და აგრეთვე, გარდაცვლილ თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების პოზიციას და თხოვნას უპირველესად, რომ ეს შეხვედრა გაიმართოს პანკისის ხეობაში, სადაც მოხდება სათანადო დახვედრა. იქ გაჟღერდება ერთობლივი თხოვნა, ერთობლივად იქნება შეჯერებული მათი წუხილი და იქ უფრო ადვილი იქნება და კარგად გასაგები, თუ რატომ ითხოვდნენ ისინი კონკრეტულად მასთან შეხვედრას, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

ეტყობა, საგამოძიებო უწყებას შეხვედრის გამართვა თბილისში სურს. თემირლან მაჩალიკაშვილის და ამბობს, რომ მათ მთავარი პროკურატურიდან დაუკავშირდნენ და თბილისში ჩასვლა სთხოვეს.

– ჩვენ დაგვიკავშირდნენ მთავარი პროკურატურიდან და თბილისში ჩასვლა გვთხოვეს. შეხვედრის თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. ჩვენი ოჯახი გადაწყვეტილებას ხეობის უხუცესებთან და მუსლიმური თემის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს, – აღნიშნა ნატა მაჩალიკაშვილმა.

პროკურატურის წარმომადგენლები უშუალოდ მალხაზ მაჩალიკაშვილს დაუკავშირდნენ. გარდაცვლილი ახალგაზრდის მამასაც სურს, რომ შეხვედრა პანკისში შედგეს, თუმცა არც თბილისში ჩასვლაზე ამბობს უარს. ის შვილის დაზარალებულად ცნობას ითხოვს.

– დამიკავშირდნენ მთავარი პროკურატურიდან, რომ თბილისში შევხვდე შოთაძეს, მაგრამ ხეობის მოსახლეობამ მოითხოვა მთავარ პროკურორთან შეხვედრა და აქედან გამომდინარე, მე შევთავაზე სწორედ ხეობაში შედგეს შეხვედრა, რაზეც ველოდები პასუხს. თუ არადა შემდეგ შევთანხმდებით და ალბათ თბილისში შევხვდებით. ირაკლი შოთაძესთან ძირითადად მაქვს კითხვები გამოძიების მიმდინარეობასთან და საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. მე თავიდანვე ვამბობდი, რომ ჩემს სახლში შეცდომით შემოვიდა სპეცრაზმი და მათ არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ, თემირლანს ამ მეთოდებით მოქცეოდნენ. მე ასევე ვითხოვ ჩემი შვილის დაზარალებულად ცნობას, – აღნიშნა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

26 დეკემბრის სპეცოპერაციისას დაკავებულმა რუსლან ალდამოვმა რამდენიმე დღის წინ სკანდალური განცხადება გააკეთა. ამბობს, რომ სპეცრაზმს მისი ლიკვიდირება სურდა და თემირლანი ის ეგონათ.

„ამაზე იქამდე უნდა გეფიქრათ, ვიდრე თავს დაესხმოდით საქართველოს, უკრაინას და ჩვენს დემოკრატიას“ — კარპენტერი რუსებს პასუხობს

პენტაგონის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი მაიკლ კარპენტერი რუსული ვითიბი ბანკის ხელმძღვანელის განცხადებას ტვიტერის საშუალებით პასუხობს.

რუსული ბანკის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის აშშ-ის მხრიდან დაწესებული სანქციები ომის ტოლფასი იქნებოდა.

კარპენტერი კი წერს, რომ მათ ამაზე იქამდე უნდა ეფიქრათ, სანამ საქართველოსა და უკრაინას თავს დაესხმებოდნენ:

– ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ თქვენ, ყველას ამაზე იქამდე უნდა გეფიქრათ, ვიდრე თავს დაესხმოდით საქართველოს, უკრაინას და ჩვენს დემოკრატიას, – წერს კარპენტერი.

„კრემლის ანგარიშის“ გამოქვეყნების შემდეგ მასში მოხსენიებული 96 რუსი მილიარდერის ქონების საერთო მაჩვენებელი 1,06 მილიარდი ამერიკული დოლარით შემცირდა.

ყველაზე მეტად შემცირდა „ლუკოილის“ ხელმძღვანელის აქტივები. ეს ანგარიშის

გამოქვეყნებიდან 13 საათის განმავლობაში მოხდა – ვაგიტ ალეკპეროვის აქტივები 226 მილიონი ამერიკული დოლარით შემცირდა.

„რამდენიმე წელიწადში აჭარაში ეკოლოგიური კატასტროფა იქნება“

შორენა მარსაგიშვილი

„ვიღაცები გაიძახიან, საფრთხე თურქეთიდან გვემუქრებაო. თურმე რამდენიმე ბორდელი ყოფილა სახიფათო და რუსული ტანკები არა“

ჯელალ ქიქავა: „ივანიშვილი ბათუმის ბულვარის დანგრევას აპირებს“

რა პირობა დადო ივანიშვილმა, რა საფრთხეები ემუქრება აჭარის რეგიონს, რატომ არ რეაგირებს საზოგადოება გარემოს განადგურებაზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპები 21-ე საუკუნეს“ ხელმძღვანელი, ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

ჯელალ ქიქავა:

– რამდენიმე წელიწადში აჭარაში ეკოლოგიური კატასტროფა იქნება. ეკოლოგიურ კატასტროფაზე დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ ივანიშვილის პოლიტიკა უკვე რეგიონებს აპირისპირებს ერთმანეთთან.

აჭარიდან მოთხრილი ხეები ყოფილ პრემიერს, მოგეხსენებათ, რომ გურიაში გადააქვს, სადაც ვითომ დენდროლოგიურ პარკს აწყობს. ამ თემას რუსთავი 2-მა მორიგი გადაცემა მიუძღვნა. ჟურნალისტებმა კომენტარები აჭარის და გურიის მოსახლეობასაც სთხოვეს. ერთ-ერთმა მოქალაქემ თქვა, ბიძინა ძალიან კარგს შვრება, აჭარაში ხეებს რომ თხრის და გურიაში რგავსო.

ეს იყო ძალიან არასასიამოვნო განცხადება და ამას შესაძლოა უკიდურესად ცუდი ამბები მოჰყვეს.

– რა ცუდი ამბები უნდა მოყვეს ერთი კაცის განცხადებას?

– ეს მარტო ერთი კაცის განცხადება არ გახლავთ. ამ თემაზე სოციალურ ქსელში სერიოზული კამათია. გავეცანი კომენტარებს და ძალიან შევწუხდი. ივანიშვილი ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომ რეგიონი რეგიონს დაეტაკოს.

საქართველოსთვის საშინელება და კატასტროფა იქნება, გურიის და აჭარის რეგიონები თუ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

– გინდათ თქვათ, რომ ხეების გადარგვის გამო გაკეთებულმა კომენტარებმა შესაძლოა აჭარა და გურია ერთმანეთთან დააპირისპიროს?

– თქმა კი არ მინდა, ეს უკვე ასეა. სოციალურ ქსელში უკვე დაწყებულია ეს დაპირისპირება. ცოტაც და ეს ყველაფერი სერიოზულ და მწვავე სახეს მიიღებს. მთელმა საქართველომ იცის, რომ ბათუმის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გურულები შეადგენენ. წესით, ეს უნდა იცოდეს ბიძინა ივანიშვილმა.

– თქვენი აზრით, არ იცის?

– საიდან უნდა იცოდეს? ორი წიგნი არა აქვს წაკითხული. მაგენმა მარტო ფულის კეთება იციან. ფულის შოვნას კიდე წიგნის წაკითხვა არ სჭირდება. აქედან გამომდინარე წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება ბათუმში.

– საუბარი მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფაზე დავიწყეთ. იქნება ამასთან დაკავშირებით გვითხრათ რამდენიმე სიტყვა.

– რამდენიმე სიტყვას კი არა, ყველაფერს გეტყვით. აჭარას ემუქრება ეკოლოგიური კატასტროფა. ივანიშვილი 100 წლის წინ მიძინებულ ბაქტერიებს აღვიძებს.

– რა ბაქტერიებს აღვიძებს?

– იმ ბაქტერიებს აღვიძებს, რომლებიც იმ ადგილებში ჩნდება, სადაც ეგ ასწლოვან ხეებს თხრის. იმ ადგილას, სადაც ხეებს თხრიან, უზარმაზარი ორმოებია. ამ ორმოების ამოვსება წარმოუდგენელია. იქ ჩადგება წყალი და ყველა ის ბაქტერია გაიღვიძებს, რომლებსაც აქამდე ეძინა.

აჭარა არის ჭაობიანი ადგილი და აქ ჩაძინებული მიკრობების გაღვიძება კატასტროფა იქნება. ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს იმაზე, რა სახის მიკრობები შეიძლება გააღვიძოს ივანიშვილის ახირებამ.

მეფის რუსეთის მადლიერი როგორ უნდა იყო კაცი, მაგრამ ისინი უფრო უფრთხილდებოდნენ საქართველოში ეკოლოგიას, ვიდრე ივანიშვილი. ციხისძირში, რომელიც ხელისუფლებამ საშინელ ადგილად აქცია, უნიკალური ჯიშის ხეები სწორედ მეფის რუსეთის დროს დარგეს.

მაშინაც კი ამ საქმეს მეცნიერულად მიუდგნენ. კარგად შეისწავლეს ნიადაგი და დეტალურად გაარკვიეს, სად რა ხე უნდა დაერგოთ.

ხეები აქედან ივანიშვილს სხვა დროსაც წაუღია, მაგრამ უწინ კულტურულად იქცეოდა. მას შემდეგ რაც ძალაუფლება ბოლომდე ჩაიგდო ხელში, გათავხედდა და ყველაფერი გაანაგა.

– ყველაფრის გაჩანაგებაში რას გულისხმობთ?

– ამაზე მეტი რა უნდა ვიგულისხმო – რეგიონის ლანდშაფტს ცვლის ეს ადამიანი. გაიგეთ ხალხო, ივანიშვილი აჭარას უცვლის ლანდშაფტს!

ამ კაცმა ერთ შეხვედრაზე, რომელსაც სულ 4 ადამიანი ესწრებოდა, სკანდალური განცხადება გააკეთა და თქვა, ბათუმს დედას ვუტირებო. ეს შეხვედრა მედიით არ გაშუქებულა, მაგრამ მე მომივიდა ამბავი.

– მედიით თუ არ გაშუქებულა და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო იქ, თქვენ საიდან გაიგეთ, რა თქვა ივანიშვილმა?

– იმ ოთხი კაციდან, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი იყო. მისგან გავიგე ეს ამბავი. ყოფილი პრემიერი აქაურობას ვერ იტანს. ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბათუმის ბულვარი დაშალოს და ახალი ბულვარი ურეკში გააკეთოს.

– ორივეგან რომ იყოს ბულვარი, არ შეიძლება?

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ ამას უნდა, რომ ბათუმი ყველანაირად ააოხროს. არ უნდა, რომ ასეთი გალამაზებული ქალაქი სხვის სახელს უკავშირდებოდეს. ამიტომაც ანადგურებს ყველაფერს.

– ვის გულისხმობთ, მიხეილ სააკაშვილს?

– სწორედ სააკაშვილს ვგულისხმობ. გვინდა თუ არა, ამ კაცმა გაალამაზა ბათუმი. ყოფილი პრემიერი ამაზე გიჟდება და ყველაფერს ანადგურებს. უნდა, რომ ზღვისპირეთის გალამაზება მის სახელს დაუკავშირდეს.

მიზანს სანახევროდ მიაღწია, აჭარაში ლანდშაფტი შეცვალა, მიკრობებს აღვიძებს. კატასტროფა მეტი კი არაფერია.

ყველა სხვა სიკეთეებთან ერთად, ივანიშვილმა გურია ლამის მთლიანად იყიდა და ამ რეგიონში ყველა მისი მადლიერია.

დარწმუნებული ვარ, ამ რეგიონის მოსახლეობის ნაწილი ვერ იტანს ამ კაცს, მაგრამ გაჭირვება აიძულებთ, თვალი დახუჭონ რაღაცაზე. ზოგი მისმა და ფულის სიყვარულმა ისე დააბრმავა, გაიძახის, კარგია, აჭარაში თუ თხრის ხეებს და აქ რგავსო.

– თქვენ რამდენჯერმე თქვით, რომ რეგიონი კატასტროფის წინაშეა. ასეთი კატასტროფული ვითარება თუ არის, საზოგადოება რატომ არ იღებს ხმას?

– სადღაა საზოგადოება? მძინარე ბავშვებს ლოგინში კლავენ და ამაზეც კი არ იღებენ ხმას და ხეების გამო გამოვლენ გარეთ? მაინტერესებს ერთი, სად არიან იგი ვოლსკები და ბესელიები? აქამდე ხომ ყველაფერზე ყვიროდნენ, ახლა გააძღო ხომ ბიძინამ და აღარ უნდათ ხმის ამოღება?

ან რატომ გვყავს გარემოს დაცვის სამსახურები? გარემო და ბუნება თავზე დაგვამხეს და ხმის ამომღები არავინაა. საერთოდ რაში გვჭირდება ან მთავრობა, ან პარლამენტი, ერთი კაცი წყვეტს ყველაფერს.

რაც შეეხება საზოგადოებას, საზოგადოება მაშინ გამოვა, როცა წინამძღოლი ეყოლება. შესაძლოა ბევრი იყვირონ, მაგრამ გარეთ მანამდე არ გამოვლენ, სანამ წინამძღოლი არ გამოჩნდება.

– ახლა არ ჩანს წინამძღოლი?

– როგორ არ ჩანს, მაგრამ წინამძღოლი უკრაინაშია. ის კაცია ყოჩი და მას შეუძლია ხალხის დარაზმვა. ეს კაცი მიხეილ სააკაშვილია.

არადა, დრო არ ითმენს. დღეს თუ ხვალ შესაძლოა რეგიონები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც საქართველოსთვის დამღუპველი იქნება. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აჭარის რეგიონია.

– როცა აჭარის რეგიონზე მიდის საუბარი, ხაზს უსვამენ თურქეთის ფაქტორს. ამბობენ, რომ ამ რეგიონზე თურქეთს დიდი გავლენა აქვს და შესაძლოა, ამას რაღაც გართულებები მოჰყვეს.

– რას გულისხმობენ თურქულ გავლენებში? თურქები ათხრევინებენ ივანიშვილს ხეებს რეგიონში? თურქები უცვლიან რეგიონს ლანდშაფტს? არანაირი თურქული გავლენა აქ არ არის.

ვიღაცას თუ აქ შემოსული თურქული ბიზნესი აშინებს, სასაცილოა. საქართველოს თურქეთიდან არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

– ამაში ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?

– თურქეთის სახელმწიფო 100 წელია, რაც არსებობს. ამ 100 წლის მანძილზე ამ ქვეყნიდან არავინ არ შემოგვარდნია, მათ „რაგატკაც“ კი არ უსვრიათ ჩვენი მიმართულებით. აქედან გამომდინარე, არ ველოდები საფრთხეებს აქედან.

იმ ხალხს მინდა ვკითხო, რომლებიც თურქულ საფრთხეებზე ლაპარაკობენ, მეორე მეზობელზე რატომ არ იღებენ ხმას? ის მეზობელი ბოლო 100 წლის მანძილზე ხუთჯერ მაინც შემოგვარდა ტანკებით და იარაღით. დაგვხოცა, გადაგვიარა და თან ისე შემოვიდა, უკან აღარ მიდის.

ვიღაცები კიდევ გაიძახიან, საფრთხე თურქეთიდან გვემუქრებაო. თურმე რამდენიმე ბორდელი ყოფილა სახიფათო და რუსული ტანკები არა.

– ბორდელები ახსენეთ და მართალია, რომ თურქებს აჭარის რეგიონში ბევრი ბორდელი აქვთ გახსნილი?

– ბორდელები ქართველებსაც აქვთ გახსნილი. ამ ბორდელებზე ასე რატომ ამახვილებენ ყურადღებას. მთელს მსოფლიოშია ასეთი დაწესებულებები. რა, თბილისში ბორდელები არ არის? არის და უფრო ძვირი ბორდელებია, მანდეთ ელიტნი ბოზები ყავთ. აქ თუ მომსახურება 100 დოლარი ღირს, თბილისში 500 დოლარამდე ადის ფასები. ელიტურ ბორდელებში მთავრობის წევრები და დეპუტატები დადიან. მაგენი ზოგჯერ საგანგებოდ ჩამოდიან აქაურ ბორდელებში.

– თბილისიდან ბათუმში ბორდელში ვინ წამოვა?

– მოდიან, მოდიან. ფინანსური კრიზისი რომ აქვთ, მაშინ ხდება ხოლმე ეგ ამბავი. 100 დოლარი გზა უჯდებათ, 100 ბორდელი და 300 დოლარი სახლში მიაქვთ. მაგნაირები არიან მაგენი.

ბორდელებს არავინ არ მიესალმება, მაგრამ იმის ძახილი, რომ ეს დაწესებულებები საქართველოს ტერიტორიას საფრთხეს უქმნის, ზედმეტია. მთელ მსოფლიოშია ასეთი დაწესებულებები, თანაც უხსოვარი დროიდან და ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, რომ ბორდელების გამო ამა თუ იმ ქვეყანას ტერიტორიები დაეკარგოს.

რომელ კლინიკებში, აფთიაქებსა და ესთეტიკურ ცენტრებში გამოვლინდა დარღვევები

2017 წელს სამედიცინო/სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოვლენილი დარღვევების შედეგად, ჯარიმის სახით, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილმა თანხამ 1.171.100 ლარი შეადგინა.

სასამართლომ აღნიშნული თანხის გადახდა სამართალდამრღვევ პირებს სალიცენზიო, სანებართვო, ტექნიკური რეგლამენტის პირობების და სავარაუდო უკანონო საექიმო/სამედიცინო საქმიანობის შემოწმების შედეგად დააკისრა.

როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის მუშაობის ანგარიშშია აღნიშნული, შემოწმება ჯამში 360 შემთხვევაში განხორციელდა. შედეგად სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სულ 1.036 ოქმი გაეგზავნა. აღსანიშნავია, რომ ამათგან უკანონო საექიმო/სამედიცინო საქმიანობაზე – 11 ოქმი იყო შედგენილი.

სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციით: 208 სამართალდამრღვევს – შენიშვნა მიეცა, 13 შემთხვევაში – საქმე შეწყდა, 620 სამართალდამრღვევი კი დაჯარიმდა. ამასთან, 195 შემთხვევაში პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

„ბიზნესპრესნიუსი“ იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს ავრცელებს, სადაც სააგენტოს შემოწმების შედეგად სამართალდამრღვევი პირები გამოვლინდნენ.

„რუსთაველის 12 ნომერთან დაკავშირებით ცრუ განგაში ატყდა, იქ მშენებლობა არ იგეგმება“

რუსთაველის 12 ნომერთან დაკავშირებით ცრუ განგაში ატყდა, იქ მშენებლობა არ იგეგმება, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, რუსთაველის გამზირზე თუ რაიმე პროექტის მშენებლობა დაიგეგმება, ეს მოხდება ფართო საზოგადოებრივი განხილვის შემდეგ.

– იქ არანაირი მშენებლობა არ იგეგმება და არანაირი შეთანხმება მშენებლობაზე არ არის მიღებული. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და როგორი შენობა-ნაგებობა განთავსდება, თუმცა, ზოგადად, რუსთაველის გამზირი არის ძალიან მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენთვისთვის. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება ასე სწრაფად არ და ვერ მოხდება. ეს იქნება საერთო განხილვის საგანი, თუ რაიმე პროექტი და საინვესტიციო მშენებლობა იქნება დაგეგმილი და განხორციელებული. ეს გამოტანილი იქნება საჯაროდ და იქნება განხილვები. ასე რომ, ცრუ განგაშს ნუ აყვებით, – განაცხადა კახა კალაძემ.

არსებული ინფორმაციით, თბილისში, რუსთაველის გამზირის 12 ნომერში კიდევ ერთი სასტუმრო Four Season-ის მშენებლობა იგეგმება. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა წინასწარი თანხმობა უკვე გასცა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ექვსივე წევრმა სასტუმროს ესკიზს დადებითი შეფასება მისცა.

თბილისის მეტროს გვირაბებიდან ყოველდღიურად 25 ათასი ტონა წყლის ამოტუმბვა ხდება

თბილისის მეტრო ექსპლუატაციაში 1966 წელს შევიდა და მას შემდეგ საკმაოდ დიდი რაოდენობით მგზავრი გადაჰყავს, ყოველდღიურად დაახლოებით 600 000.

„ბიზნესპრესნიუსი“ წარმოგიდგენთ საინტერესო ფაქტებს თბილისის მეტროს შესახებ, რომელიც ბევრმა არ იცის.

პირველ ხაზზე, რომელიც „ახმეტელის თეატრიდან“ „ვარკეთილის“ მიმართულებით მოძრაობს, მატარებელს მთლიანი მარშრუტის გასვლას ორივე მიმართულებით 60 წუთი სჭირდება. რაც შეეხება საბურთალოს ხაზს, ორივე მიმართულებით მატარებელს 30 წუთი სჭირდება.

ამასთან, პირველი ხაზის სიგრძე 40 კილომეტრს შეადგენს, საბურთალოს ხაზის სიგრძე კი 17 კილომეტრია.

ყოველდღიურად პირველ ხაზზე მომუშავე მატარებლები საშუალოდ 400 კილომეტრს, საბურთალოს ხაზზე მომუშავე კი 311 კილომეტრს გადიან.

თბილისის მეტროს სადგურებში არსებული ყველა ესკალატორის საერთო სიგრძე 10 კილომეტრს შეადგენს.

რაც შეეხება თბილისის მეტროს გვირაბების სიგრძეს, ის 53,7 კილომეტრს შეადგენს, ამაში შედის დამხმარე გვირაბები და ჩიხებიც.

ყველაზე ღრმა სადგური რუსთაველია, რომელიც 60 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

მეტრო წელიწადში საშუალოდ 65 მილიონ კვტ.სთ დენს ხარჯავს.

თბილისის მეტროს გვირაბებიდან ყოველდღიურად 25 ათასი წონა წყლის ამოტუმბვა ხდება.

ოთარ ანგურიძე: „მხოლოდ დიზელის შემოტანის აკრძალვა საკმარისი არ იქნება“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიზნესმონოპოლიებზე და დიზელის საწვავის აკრძალვის იდეაზე საუბრობს.

– ბატონო ოთარ, ბიზნესასოციაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე პრემიერ კვირიკაშვილს ბიზნესმენებმა თავიანთ პრობლემებზე შესჩივლეს. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მათ ლარის კურსის რყევები და სასამართლოს მიმართულებით არსებული ვითარება დაასახელეს. მონოპოლიებზე არაფერი თქმულა. რამდენად არის დღეს ქვეყანაში ერთ-ერთი გამოწვევა მონოპოლია?

– დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველა მიმართულებით არის მონოპოლია და ეს არის პრობლემა. ეს პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დგას დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, ამოქმედდა შესაბამისი კანონი, დღეს მაინც დგას ეს პრობლემა.

კანონმდებლობა ძალიან სუსტია, რომელიც კონკურენციის შესახებ გვაქვს. როდესაც კანონპროექტის მიღება ხდებოდა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ეს იყო ერთ-ერთი ვალდებულება ევროკავშირის წინაშე აღებული, ჩვენ მაშინ დროში ვიყავით შეზღუდულები, მაგრამ ახლა შეგვიძლია მისი დახვწა.

მაშინ ვალდებულება გვქონდა, რომ მაქსიმალურად მომხდარიყო მსხვილი ბიზნესინტერესების დაცვა. დღეს გვაქვს დროც და შესაძლებლობაც, რომ საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მოხდეს ამ კანონის დახვეწა, ევროპული გამოცდილების რაც შეიძლება უფრო გათვალისწინება.

შესაბამისად, ჩვენ, როგორც მომხმარებლები, უფრო დაცულები ვიქნებით, რომ ქვეყანაში არ იყოს კარტელური გარიგებები, რაც იწვევს სხვადასხვა პროდუქციის მაღალ ფასებს. ასევე, ყველაფერთან ერთად, ჩვენ მივიღებთ კარგ პროდუქციას და კარგ მომსახურებას.

– რაც დღეს პრობლემაა.

– დიახ.

– მომხმარებელთა უფლებების დამცველი სამსახური ცალკე არ არსებობს, ვინ არის ამ მიმართულებით კონკრეტულად პასუხისმგებელი ქვეყანაში? მოქალაქეს აქვს უფლება, სასამართლოს მიმართოს, მაგრამ ეს ძალიან შორი გზაა.

– საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დამცველი ცალკე სამსახური არ არსებობს, მაგრამ გადანაწილებულია შესაბამისი სფეროს სხვადასხვა სამსახურებზე.

მაგალითად, საფინანსო მიმართულებით თუ დაირღვევა მომხმარებელთა უფლებები, პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს ეკისრება. თუ, კვების პროდუქტების მიმართულებით დაირღვევა მომხმარებლის უფლებები, პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ეკისრება.

ამ პროცესში მთავარი ფიგურანტი მაინც სახელმწიფოა. მთავარი არ არის, რომ მომხმარებელთა უფლებები მაინცდამაინც ერთი ქოლგის ქვეშ იყოს მოქცეული, მთავარია, იყოს გამართული კანონმდებლობა და მის აღსრულებაზე ზედამხედველობა იმ დონეზე, რომ მომხმარებელთა უფლებები მართლაც იყოს ქვეყანაში დაცული.

დიდი წინააღმდეგობა არის მსხვილი ბიზნესიდანაც, რომ ეს საკითხი იყოს რეალურად მაღალ დონეზე აყვანილი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს გადამჭრელი როლო ჰქონდეს ამ პროცესში. რა თქმა უნდა, აუცილებელია მსხვილი ბიზნესის როლიც იყოს გათვალისწინებული, მაგრამ არა – მომხმარებელთა უფლებების ხარჯზე.

– მონოპოლიები რამდენად უქმნის საფრთხეს თავისუფალ ბაზარს?

– ზოგადად მონოპოლია თავისი შინაარსით ცუდი არ არის. ცუდია მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეჭვი არსებობს, რომ სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებელია კარტელური გარიგებები. კარტელური გარიგებები სისხლის სამართლის დანაშაულია და მკაცრად ისჯება ყველა ნორმალურ ქვეყანაში. სახელმწიფოს ამ პროცესში გადამწყვეტი როლი უნდა ჰქონდეს, რომ კონკრეტულმა სეგმენტებმა არ გამოიყენონ ბოროტად მათი გავლენები და მონოპოლიური მდგომარეობა.

– დღეს ხელისუფლებას არ აქვს ნება, რომ ბიზნესი დაცული იყოს კარტელური გარიგებებისგან? წინა კვირაში წამლის ბიზნესის მონოპოლიასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში დიდი ხმაური იყო, რომ შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული, წამლის მონოპოლიას არ ეშველა.

– დიახ, ბევრია საუბარი ფარმაცევტულ ბაზარზე, რომ ამ მიმართულებით კარტელური გარიგებები არსებობს. შეუძლებელია, მათი გავლენები მოკლებული იყოს გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა პოლიტიკისგან. აქედან გამომდინარეა, რომ მუდმივად არიან ამ სფეროს წარმომადგენლები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

– მაგალითად, ოქრიაშვილი, რომელიც პარლამენტის რამდენიმე მოწვევის დეპუტატია და რომელიც საკმაოდ გავლენიანი პირია.

– თუ ის საკმაოდ გავლენიანი დეპუტატი არის, მაშინ შეუძლებელია, რომ მას არ ჰქონდეს იმის მცდელობა, რომ ჩაერიოს და ლობირება გაუწიოს თავის ბიზნესს.

– ოქრიაშვილი რომ გავლენიანი დეპუტატია, ამას მოწმობს თუნდაც ის გადაწყვეტილება, რომელიც მმართველმა ძალამ მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით მიიღო.

– სწორედ ეს ყველაფერი აჩენს სერიოზულ კითხვის ნიშნებს, შეუძლებელია, რომ მან თავის ბიზნესს ასეთ მაღალ დონეზე არ გაუწიოს ლობირება. ამიტომ ვამბობ, რომ მკაცრი პოლიტიკა არის ამ მიმართულებით გასატარებელი.

ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ფარმაცევტულ ბაზარზე ვსაუბრობ, არამედ ყველა მიმართულებით. მაგალითად, იგივე შეიძლება ითქვას ნავთობკომპანიების მიმართულებით, საბანკო სექტორთან დაკავშირებით. ასეთი ჩარევები და ლობირება იწვევს მოქალაქეების უფლებების უხეშ დარღვევებს. ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი და სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი მედიის მხრიდანაც, საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდანაც, რომ ეს პრობლემა ერთობლივად დავძლიოთ.

– მამუკა ხაზარაძე გამოვიდა ინიციატივით, რომ ქვეყანაში დიზელის საწვავის შემოტანა აიკრძალოს. კეთილშობილური მიზნებით – ეკოლოგიის დაცვით – ითხოვს ის ამ აკრძალვას, მაგრამ ეს საწვავს ხომ გააძვირებს?

– ზოგადად მსგავსი ტიპის აკრძალვები ეკონომიკას არ უყვარს. ეკონომიკას კონკურენცია უყვარს. ცივილიზებული მსოფლიო საწვავის მომხმარებელ ავტომობილებზე სულ უფრო და უფრო ამბობს უარს. უკვე აქცენტი ჰიბრიდებზე, ელექტრომობილებზე კეთდება. მხოლოდ დიზელის საწვავი აბინძურებს გარემოს?! რატომ მაინცდამაინც დიზელი?!

– სწორედ ამ კუთხით დავსვი ეს კითხვა, რატომ არა მთლიანად უვარგისი საწვავი?

– რა თქმა უნდა. მხოლოდ ერთი მიმართულებით აკრძალვა, მაგალითად, დიზელის აკრძალვა, ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს ამ ბაზარზე. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ზოგადად საწვავის მოხმარების შემცირება და ამის საპირისპიროდ ხელშეწყობა ელექტრომობილების, ჰიბრიდების შემოყვანის მიმართულებით. ეს უფრო იქნება შედეგზე ორიენტირებული, ვიდრე მხოლოდ დიზელის საწვავის აკრძალვა ქვეყანაში.

2017 წელს საქართველოს ბანკებმა 3 მილიარდ 583 მილიონი ლარი შემოსავალი მიიღეს

2017 წლის 12 თვის მანძილზე 16 კომერციული ბანკის ჯამური შემოსავალი 3 მილიარდ 583 მილიონი ლარის ტოლია, რაც წინა წლის მაჩვენებელს 15%-ით აღემატება.

გასული წელი კომერციული ბანკებისთვის სარეკორდო გამოდგა წმინდა მოგების მაჩვენებლის მიხედვითაც. 2017 წლის დეკემბერში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 152 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 35%-ით მეტია. შესაბამისად, 2017 წლის იანვარ-დეკემბერში ბანკების წმინდა მოგებამ 869.798.000 ლარი შეადგინა, რაც 28%-ით, 190,6 მილიონი ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2016 წლის იანვარ-დეკემბერში კომერციულმა ბანკებმა 679 მილიონი ლარის წმინდა მოგება მიიღეს.

2017 წლის განმავლობაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი 16,378 მილიონი ლარით შემცირდა.

კერძოდ, გასული წლის 12 თვეში, ბანკების მიერ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 202.954 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 219.332 მილიონი იყო.

კომერციულმა ბანკებმა მოგების გადასახადის სახით 2017 წლის დეკემბერში 21 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადეს, მთლიანი წლის განმავლობაში კი 90,5 მილიონი.

დეტალურად გთავაზობთ კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებს 2017 წლის ოთხი კვარტლის მდგომარეობით:

„საქართველოს ბანკის“ მოგება 73%-ით გაიზარდა და 372 მლნ ლარი შეადგინა

საქართველოს ბანკის წმინდა მოგებამ 2017 წელს 372 მლნ ლარი შეადგინა, რაც 73%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 215 მლნ ლარი იყო. 2017 წელს საქართველოს ბანკმა მხოლოდ 30 მლნ ლარი დაარეზერვა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 10 მლრდ ლარიდან 12 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 9 მლრდ ლარიდან 10 მლრდ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია – 1 მლრდ ლარიდან 1,3 მლრდ ლარამდე.

„თიბისი ბანკის“ მოგება 15%-ით გაიზარდა და 295 მლნ ლარი შეადგინა

თიბისი ბანკის წმინდა მოგებამ 2017 წელს 295 მლნ ლარი შეადგინა, რაც 15% -ით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 ბანკის წმინდა მოგება 256 მლნ ლარი იყო. აღსანიშნავია, რომ თიბისი ბანკმა 2017 წელს 135 მილიონი ლარი დაარეზერვა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 9 მლრდ ლარიდან 12 მლრდ ლარამდე არის გაზრდილი, ხოლო ვალდებულებები – 7 მლრდ ლარიდან 11 მლრდ ლარამდე.

1,4 მლრდ ლარიდან 1.6 მლრდ ლარამდე არის გაზრდილი ბანკის სააქციო კაპიტალი.

„ლიბერთი ბანკის“ მოგება 48%-ით გაიზარდა და 52 მლნ ლარი შეადგინა

ლიბერთი ბანკის წმინდა მოგებამ 2017 წელს 52 მლნ ლარი შეადგინა, რაც 48%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 35 მლნ ლარი იყო. 2017 წელს ლიბერთი ბანკმა 37 მლნ ლარი დაარეზერვა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 1.6 მლრდ ლარიდან 1.8 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 1.4 მლრდ ლარიდან 1.6 მლრდ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია – 186 მლნ ლარიდან 226 მლნ ლარამდე.

„ვითიბი ბანკის“ მოგება 14%-ით გაიზარდა და 20 მლნ ლარი შეადგინა

ვითიბი ბანკი ჯორჯიას წმინდა მოგებამ 2017 წელს 20 მლნ ლარი შეადგინა, რაც 14%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 18 მლნ ლარი იყო. 2017 წელს ვითიბი ბანკმა 10 მლნ ლარი დაარეზერვა.

ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 1.53 მლრდ ლარიდან 1.56 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 1.38 მლრდ ლარიდან 1.39 მლრდ ლარამდე. ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 148 მლნ ლარიდან 169 მლნ ლარამდე.

„ბანკი ქართუს“ მოგება 6%-ით შემცირდა და 36 მლნ ლარი შეადგინა

ბანკი ქართუს წმინდა მოგებამ 2017 წელს 36 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 39 მლნ ლარი იყო. 2017 წელს ქართუ ბანკმა 35 მლნ ლარი დაარეზერვა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 1.3 მლრდ ლარიდან 1.2 მლრდ ლარამდე შემცირდა, ვალდებულებები – 1.1 მლრდ ლარიდან 965 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 192 მლნ ლარიდან 229 მლნ ლარამდე.

„პროკრედიტ ბანკის“ მოგება 37%-ით შემცირდა და 20 მლნ ლარი შეადგინა

„პროკრედიტ ბანკის“ წმინდა მოგებამ 2017 წელს 20 მლნ ლარი შეადგინა, რაც 20%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 32 მლნ ლარი იყო. 2017 წელს „პროკრედიტ ბანკმა“ 5 მლნ ლარი დაარეზერვა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 1.38 მლრდ ლარიდან 1.35 მლრდ ლარამდე შემცირდა, ვალდებულებები – 1.2 მლრდ ლარიდან 1.17 მლრდ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში შემცირებულია 179 მლნ ლარიდან 178 მლნ ლარამდე.

„ბაზისბანკის“ მოგება 5%-ით შემცირდა და 19 მლნ ლარი შეადგინა

„ბაზისბანკის“ წმინდა მოგებამ 2017 წელს 19 მლნ ლარი

შეადგინა, რაც 5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 20 მლნ ლარი იყო. 2017 წელს „ბაზისბანკმა“ 14 მლნ ლარი დაარეზერვა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 925 მლნ ლარიდან 1.2 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 757 მლნ ლარიდან 1 მლრდ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 167 მლნ ლარიდან 185 მლნ ლარამდე.

„ტერაბანკის მოგება“ 30 მილიონი ლარით გაიზარდა და 16 მლნ ლარი შეადგინა

„ტერაბანკის“ წმინდა მოგებამ 2017 წელს 16 მლნ ლარი შეადგინა, რაც 30 მილიონით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკს 14 მლნ ლარი ჰქონდა ზარალი. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 700 მლნ ლარიდან 827 მლნ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 602 მლნ ლარიდან 713 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 98 მლნ ლარიდან 114 მლნ ლარამდე.

„ხალიკ ბანკი საქართველოს“ მოგება 175%-ით გაიზარდა და 11 მლნ ლარი შეადგინა

„ხალიკ ბანკი საქართველოს“ წმინდა მოგებამ 2017 წელს 11 მლნ ლარი შეადგინა, რაც 175%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 4 მლნ ლარი იყო. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 367 მლნ ლარიდან 418 მლნ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 316 მლნ ლარიდან 356 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 50 მლნ ლარიდან 62 მლნ ლარამდე.

„კრედო ბანკის“ მოგებამ 14 მილიონი ლარი შეადგინა

2017 წელს კრედო ბანკის მოგებამ 14.963.930 ლარი შეადგინა. ბანკის მთლიანი აქტივები 687 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო ვალდებულებები - 570 მილიონს. რაც შეეხება კრედო ბანკის სააქციო კაპიტალს, იგი 116 მილიონი ლარია.

შეგახსენებთ, „კრედო ბანკად“ 2017 წელს გადაკეთდა შესა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მამუკა ხაზარაძე: „მოვითხოვე, რომ ქვეყანაში დიზელის საწვავის შემოტანა აიკრძალოს“

„მოვითხოვე, რომ ქვეყანაში არაკონდიციური საწვავის შემოტანა აიკრძალოს“, – ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ ბიზნესასოციაციის წევრებისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, შეხვედრაზე რამდენიმე სერიოზული საკითხი დაისვა, რომელიც ბიზნესს აწუხებს, მათ შორის სასამართლოს კუთხით არსებული სიტუაცია.

– ჩვენ წარვადგინეთ კვლევა, რომელიც საქართველოს ბიზნესასოციაციაში წარადგინეს და ის დადებითი მხარეები ვაჩვენეთ, რაც ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში მოხდა, ასევე ის გამოწვევები, რომელიც არის. ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა არის სასამართლოს კუთხით არსებული სიტუაცია საქართველოში. ამავე დროს ის დადებითი ტენდენციები იქნა აღნიშნული, რომელიც რეფორმების შედეგად იქნა მიღებული. კერძოდ, მოგების გადასახადის თემა იყო საპენსიო რეფორმის დაწყება, ვიზალიბერალიზაცია, – განაცხადა ხაზარაძემ.

მისი თქმით, შეხვედრაზე ქვეყანაში არაკონდიციური საწვავის, კერძოდ, დიზელის შემოტანის აკრძალვის საკითხი დააყენა.

– დავაყენე საკითხი, რომელიც ეხება ჩვენს ეკოლოგიას. კონკრეტულად მოვითხოვე, რომ ქვეყანაში არაკონდიციური საწვავის შემოტანა აიკრძალოს. ეს ეხება დიზელის საწვავს, რომელიც არის დაბინძურების ყველაზე დიდი გამომწვევი ქალაქებში. თბილისში ჰაერის დაბინძურების 67% მოდის საწვავზე. საკმაოდ სწორად იქნა ეს აღქმული. დაგვპირდნენ, რომ ეს საკითხი გადაიჭრება. სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ უახლოეს ხანში ჩვენ ვიხილავთ საკმაოდ საინტერესო და მკაცრ ნაბიჯებს ეკოლოგიის გაუმჯობესების მიმართულებით, რადგანაც ჩვენ უნდა ვაშენოთ ხარისხიანი ქვეყანა. ხარისხი იწყება იმით, რასაც ჩვენ ვსუნთქავთ და რასაც მივირთმევთ და აქ საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა ხარისხის მიღწევაში წარმოების, საკვებისა და ეკოლოგიის მიმართულებებით, – აღნიშნა მამუკა ხაზარაძემ.

საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრების და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა გუშინ გაიმართა. შეხვედრას მინისტრთა კაბინეტის წევრები და დედაქალაქის მერი კახა კალაძე ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ბიზნესასოციაციამ წარმოადგინა კვლევა – „საქართველოს ბიზნესგარემო კერძო სექტორის თვალით“.

თემურ ჭყონიამ სალათის ფურცლების წარმოება გადაიფიქრა

თემურ ჭყონიამ McDonald's-ის ბურგერებისთვის სალათის ფურცლის წარმოება გადაიფიქრა, თუმცა ძალაში რჩება ფუნთუშების ქარხნის მშენებლობა. ბიზნესმენის თქმით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში McDonald's-ის ბურგერებისთვის ფუნთუშების ქარხნის მშენებლობა დაიწყება. ლოკაციად ლილოს ტერიტორია შეირჩა. ქარხნის წარმადობა წლიურად 40 მლნ ცალი ფუნთუშა იქნება, მათი ნაწილით ადგილობრივი რესტორნები მომარაგდება, ნაწილი ექსპორტზე გავა.

თემურ ჭყონიას ცნობით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე ქვეყანასთან, სწორედ საქართველოში დამზადებული ფუნთუშებით მომარაგებაზე. ბიზნესმენი სალათის ფურცლების მოყვანასაც გეგმავდა, კერძოდ, ბურგერებში „აისბერგის“ სახეობის ბოსტნეულს იყენებენ, თუმცა გათვლა შეიცვალა.

– ქარხნის მშენებლობის შემდეგ, გვინდა გავცეთ რეკომენდაცია, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე მწარმოებლების მიმართ, როგორ და რა ხარისხის ბოსტნეული სჭირდება McDonald's-ს. გვირჩევნია არ დავკარგოთ ხარისხი და ეს ჩვენ თავად არ ვაწარმოოთ, – აღნიშნავს ბიზნესმენი.

– მსოფლიოს 32.000 McDonald's-ის რესტორანს სხვადასხვა მიმწოდებელი ჰყავს და არსად არაა მონოპოლია. შესაბამისად, საქართველოსაც აქვს შანსი გახდეს მიმწოდებელი, – აცხადებს ჭყონია.

აღსანიშნავია, რომ ფართოვდება რესტორნების ქსელი. მათ შორის, ბათუმში, ერას მოედანზე McDonald's-ის მე-14 რესტორანი მაისის ბოლოს გაიხსნება, რისთვისაც 2.5 მილიონი ევროს ინვესტიციას ხორციელდება.

დამატებით, ბიზნესმენი წლის ბოლომდე თბილისშიც გეგმავს ერთი რესტორნის გახსნას, რაზეც ამ დროისთვის მოლაპარაკება მიმდინარეობს სხვადასხვა კერძო სტრუქტურებთან და მერიასთან.

კობა გვენეტაძე: „კრიპტოვალუტის ფლობა და ოპერაციებიც, საგრძნობ ფინანსურ რისკებთანაა დაკავშირებული“

კრიპტოვალუტის ფასი ძალიან მერყეევია და ნებისმიერი შედეგი შეიძლება დადგეს მისი ფლობით ან ოპერაციებით, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

მისი თქმით, ზოგადად, ცენტრალური ბანკები საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან ასეთ შუამავლებს. „რაც შეეხება ეროვნული ბანკის განცხადებას, მასში ნათლად იყო აღნიშნული, რომ ეს არის ის ფინანსური აქტივი, რომლის ფლობა და ოპერაციებიც, საგრძნობ ფინანსურ რისკებთანაა დაკავშირებული და ზუსტად იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა, გავაკეთეთ ეს განცხადება. რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია ეს ჰქონდეს, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ, რომ მისი ფასი ძალიან მერყეევია და ნებისმიერი შედეგი შეიძლება დადგეს კრიპტოვალუტის ფლობით ან მისი ოპერაციებით. გარდა ამისა, ჩვენ მიერ გაკეთებულ განცხადებაში მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ ეს არაა ოფიციალური გადახდის საშუალება საქართველოში და ესეც უნდა იყოს ცნობილი მოსახლეობისთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა იქნება მომავალში, ვერ გეტყვით.

ზოგადად ტექნოლოგიების განვითარება დროთა განმავლობაში ყოველთვის ახდენს გავლენას ფინანსურ შუამავლებზე. ტექნოლოგიურმა განვითარებამ და წინსვლამ შესაძლოა ცვლილებები შეიტანოს იმაში, თუ რა სახით მოხდება ფინანსური სერვისის მიწოდება. კონკრეტულად თუ რა სახე ექნება ამას, ეს რთული სათქმელია. ცენტრალური ბანკები დიდი სიფრთხილით უდგებიან ამ საკითხებს, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ ეს არის ის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებლად აისახება ფინანსური სერვისების მიწოდების ფორმებზე, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

❖ ❖ ❖

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის თქმით, კომპანია სილქნეტსა და ჯეოსელს შორის არსებული გარიგება ლარის კურსზე გავლენას არ მოახდენს. მისი თქმით, ტრანზაქციაც და დაფინანსებაც აშშ დოლარში ხდება, განსხვავებით თიბისი ბანკსა და ბანკ რესპუბლიკას შორის განხორციელებული გარიგებისგან.

ლიკვიდობა ამ ვალუტაში ბანკებს საკმაოდ მაღალი აქვთ, რაც დიდი ალბათობით გამორიცხავს აუცილებლობას, რომ ბაზარზე მოხდეს დოლარის შესყიდვა, ამიტომ იმის თქმა, რომ ეს გარიგება გავლენას მოახდენს ლარის კურსზე, არ იქნება სწორი, თუმცა ამაზე უფრო ნათლად შეიძლება საუბარი მას შემდეგ, რაც უშუალოდ შეთანხმების დეტალები გახდება ცნობილი, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

შეგახსენებთ, რომ 2016 წელს ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად თიბისი ბანკსა და ბანკ რესპუბლიკას შორის განხორციელებული გარიგება სახელდებოდა.

„შარშან კვირა არ გასულა, რომ სავალუტო ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას ტურისტები არ მოეტყუებინათ“

– შარშან კვირა არ გასულა, რომ სავალუტო ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას ტურისტები არ მოეტყუებინათ, – განაცხადა ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ.

მისივე თქმით, „ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონში შესული ცვლილებებით, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს მაღალი მოთხოვნები დაუწესდებათ.

– სავალუტო ჯიხურებზე ზედამხედველობა შეზღუდული იყო და მხოლოდ ფულის გათეთრების ნაწილზე ვრცელდებოდა. ამ ცვლილებებით კი ეროვნულ ბანკს აქვს უფლება, სავალუტო ჯიხურები ფინანსურ შუამავლად განიხილოს და მაღალი მოთხოვნები დაუწესოს. შარშან კვირა არ გასულა, რომ სავალუტო ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას ტურისტები არ მოეტყუებინათ. ახალი რეგულაცია კი საშუალებას გვაძლევს, მომხმარებლის ინტერესების დასაცავად მომსახურების წესები დავადგინოთ. ასევე დავაწესებთ მოთხოვნებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მფლობელებისთვის, მათ საქმიანობაზე, გამოცდილებაზე. ეს არ იქნება ისეთი სტანდარტები, როგორიც გვაქვს ბანკების ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, მაგრამ ფინანსური საქმიანობის წარმმართველი პირი ნასამართლევი რომ არ უნდა იყოს, ალბათ, ყველა დამეთანხმება. კანონი მომხმარებელს უფლებას აძლევდა, დროის რაღაც მონაკვეთში სავალუტო ჯიხურისთვის თანხა დაებრუნებინა. დაახლოებით ამგვარი ნორმის კვლავ შემოტანაზე ვფიქრობთ, – აღნიშნა კიკორიამ.

ყველა მეტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერდა

თბილისის მერის, კახა კალაძის ინფორმაციით, ყველა მეტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები დროებით გაჩერდა.

ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე თქმით, რეაბილიტაციის პროცესი პროექტების შესწავლისა და მონიტორინგის შემდეგ გაგრძელდება.

– ყველა მეტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებულია. ყველა პროექტს უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა. გუშინ გავეცი დავალება, რომ ყველა კომპანიას, რომელსაც რეაბილიტაცია ევალება, შეუჩერდეს მუშაობის ნებართვა, რადგან უნდა მოხდეს იმ კონკრეტული პროექტების შემოწმება, რაზეც რეაბილიტაცია ტარდება. უნდა მოხდეს პროექტების შესწავლა, რომ ყველანაირი საფრთხე იქნას თავიდან აცილებული, – განაცხადა კალაძემ.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობდა სამი მეტროსადგურის, კერძოდ, „გურამიშვილის“ „სამგორისა“ და „ავლაბრის“ რეაბილიტაცია.

ნატახტრის სასაკლაო „თიბისი ბანკის“ საკუთრებაში გადავიდა

„იბერ მით ჯორჯიას“ კუთვნილი ნატახტრის სასაკლაო „თიბისი ბანკის“ საკუთრებაში გადავიდა და ის ამჟამად არ ფუქციონირებს.

ამის შესახებ ბმ.გე-ს კომპანიის ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა ირაკლი ადეიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, კომპანიამ სესხის დაფარვა ვერ შეძლო, რის შედეგადაც კომპანიის აქტივები თიბისი ბანკის საკუთრებაში გადავიდა. სესხის ოდენობა ადეიშვილმა არ დააკონკრეტა.

კომპანია „იბერ მით ჯორჯიამ“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ნატახტრის სასაკლაო 2010 წელს გახსნა. სასაკლაოს ამოქმედება თავის დროზე ხორცისა და ხორცპროდუქტების უსაფრთხოების კუთხით შემოღებულ ახალ სტანდარტებსა და მოთხოვნებს უკავშირდებოდა, რომლის მიხედვითაც საქონლის სასაკლაოზე დაკვლა სავალდებულო ხდებოდა.

2012 წელს კომპანიის სამმა დამფუძნებელმა თენგიზ მეზურნიშვილმა, ანტონ ინგოროყვამ და გრიგოლ ლომიძემ კომპანიის 100%-იანი წილი, ირანული წარმოშობის ბიზნესმენს შაჰრამ შამელი რაჯაბს მიჰყიდეს. ბმ.გე-ს ინფორმაციით, გასხვისების შემდეგ ახალ ინვესტორს სასაკლაოს ამუშავებისა და ხორცპროდუქტების ირანში ექსპორტის გეგმები ჰქონდა, თუმცა პროექტის განხორციელება ვერ შეძლო.

2017 წელს საქართველოს ბანკებმა 3 მილიარდ 583 მილიონი ლარი შემოსავალი მიიღეს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ბამისად არსებულ მონაცემებს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს ვერ შევადარებთ.

„ფინკა ბანკი საქართველოს“ მოგებამ 2 მლნ ლარი შეადგინა

„ფინკა ბანკი“ საქართველოს წმინდა მოგებამ 2017 წელს 2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2.5 მილიონით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკს 350 ათასი ლარი ჰქონდა ზარალი. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 278 მლნ ლარიდან 294 მლნ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 244 მლნ ლარიდან 257 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 34 მლნ ლარიდან 36 მლნ ლარამდე.

„იშ ბანკი – საქართველოს“ მოგება 2.4 მილიონი ლარით გაიზარდა და 3 მლნ ლარი შეადგინა

„იშ ბანკი – საქართველოს“ წმინდა მოგებამ 2017 წელს 4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2.4 მილიონით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგებამ 664 ათასი ლარი შეადგინა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 271 მლნ ლარიდან 234 მლნ ლარამდე შემცირდა, ვალდებულებები – 240 მლნ ლარიდან 200 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 31 მლნ ლარიდან 34 მლნ ლარამდე.

„პაშა ბანკი საქართველო“ მოგება 46%-ით შემცირდა და 4 მლნ ლარი შეადგინა

„პაშა ბანკი საქართველოს“ მოგებამ 2017 წელს 4 მლნ ლარი შეადგინა და ეს 46%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგებამ 7 მლნ ლარი შეადგინა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 280 მლნ ლარიდან 272 მლნ ლარამდე შემცირდა, ვალდებულებები – 179 მლნ ლარიდან 166 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 101 მლნ ლარიდან 105 მლნ ლარამდე.

„ზირაათ ბანკი საქართველოს“ მოგება 58%-ით შემცირდა და 859 ათასი ლარი შეადგინა

„ზირაათ ბანკი საქართველოს“ მოგებამ 207 წელს 859 ათასი ლარი შეადგინა და ეს 58%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგებამ 2 მლნ ლარი შეადგინა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 67 მლნ ლარიდან 93 მლნ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 46 მლნ ლარიდან 63 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 21 მლნ ლარიდან 30 მლნ ლარამდე.

„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ მოგება 85%-ით შემცირდა და 751 ათასი ლარი შეადგინა

„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ წმინდა მოგებამ 2017 წელს 751 ათასი ლარი შეადგინა, რაც 85%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის მოგება 5 მლნ ლარი იყო. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 138 მლნ ლარიდან 78 მლნ ლარამდე შემცირდა, ვალდებულებები – 105 მლნ ლარიდან 40 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში გაზრდილია 33 მლნ ლარიდან 38 მლნ ლარამდე.

„სილქ როუდ ბანკის“ ზარალმა 495 ათასი ლარი შეადგინა

„სილქ როუდ ბანკის“ ზარალმა მიმდინარე წლის ბოლოსთვის 495 ათასი ლარი შეადგინა და ეს 1.6 მილიონი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წელს ბანკის ზარალი 2 მილიონ ლარს შეადგენდა. ერთ წელიწადში ბანკის აქტივები 72 მლნ ლარიდან 53 მლნ ლარამდე შემცირდა, ვალდებულებები – 44 მლნ ლარიდან 25 მლნ ლარამდე.

ბანკის სააქციო კაპიტალი ერთ წელიწადში შემცირებულია 27.7 მლნ ლარიდან 27.2 მლნ ლარამდე.

თბილისში, ტრანსგენდერი ქალის ცემის ფაქტზე შსს-მ ერთი პირი დააკავა

დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1986 წელს დაბადებული ბ.ო. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის 28 იანვარს, გამთენისას, თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირზე, 1986 წელს დაბადებულმა ბ.ო.-მ დისკრიმინაციული მოტივით, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მ.ო.-ს. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

ციანიდის საქმის განხილვა 7 თებერვალს განახლდება

ციანიდის საქმეზე სააპელაციო სასამართლოში განხილვა 7 თებერვალს განახლდება. გუშინდელ პროცესზე სასამართლოს დასკვნითი სიტყვით ადვოკატებმა მიმართეს. მომდევნო სხდომაზე სასამართლოს სიტყვით ბრალდებული დეკანოზი გიორგი მამალაძეც მიმართავს. შესაძლოა საქმეზე სასამართლომ განაჩენიც გამოიტანოს:

– პირდაპირ უთითებს, რომ არ არსებობს საქმეში არანაირი მტკიცებულებები, ის, რომ გამოძიება თავიდანვე იყო არაობიექტური, უსამართლო და გარკვეულ წილად, შეიძლება ითქვას, რომ ხაზი ჰქონდა გასმული, რომ გარკვეულ ჯგუფს ჰქონდა პირადი ინტერესი მამა გიორგის წინააღმდეგ. ეს არის შორენა თეთრუაშვილი და ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ჯგუფიდან მომდინარე, ყოველთვის სხვა ფორმით გამოხატავდნენ თავიანთ გარკვეულ შეხედულებებს, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

51-ე სკოლის მოსაწავლეების მკვლელობა – ირაკლი შოთაძემ დაკავებულთა ადვოკატების კითხვებს უპასუხა

51-ე სკოლის ორი მოსწავლის მკვლელობის საქმე – ბრალდებულთა ადვოკატებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავარი პროკურორი შეხვდნენ. მათ ადვოკატების კითხვებს უპასუხეს. ირაკლი შოთაძის განცხადებით, პროკურატურა ხელს არავის აფარებს:

– რაც შეეხება ადვოკატების განცხადებებს, ჩემთვის სრულად გასაგებია მათი პოზიცია. ეს არის დაცვის ტაქტიკა და ცდილობენ გამოძიების დისკრედიტაციას. თუმცა რეალობა არის სხვა. ამ ინციდენტში მონაწილეობდა ათეულობით მონაწილე არასრულწლოვანი. ამ ინციდენტის ყველა მონაწილე დაკითხული არის. ეს ადამიანები დაიკითხებიან ასევე სასამართლოში. შესაბამისად მათ აქვთ სრული შესაძლებლობა, სასამართლოს მიაწოდონ ის რეალობა, რაც მოხდა იმ საზარელ დღეს, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

გიორგი გახარია: „12-14 წლამდე ბავშვები, რომლებიც ჩადიან დანაშაულს, უბრალოდ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩნენ“

– რეფერირების სისტემა დარჩა ყურადღების გარეშე და 12-14 წლამდე ბავშვები, რომლებიც ჩადიან დანაშაულს, უბრალოდ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩნენ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განუცხადა, რითაც ამ კატეგორიის არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტების გახშირების შესახებ დასმულ კითხვას უპასუხა.

ამასთან, გახარიამ კატეგორიულად გამორიცხა, რომ შემცირდეს არასრულწლოვანთა ასაკი, რომელთაც დანაშაულის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

– პრობლემა არის ის, რომ 14 წლამდე ასაკის ბავშვები სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ იურიდიული ჩარჩოს მიღმა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთ შემთხვევაში ასაკის ჩამოწევაზე საუბარი ვერ იქნება და არ იქნება – ეს არის ერთმნიშვნელოვანი პოზიცია. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეფერირების სისტემა დარჩა ყურადღების გარეშე და 12-14 წლამდე ბავშვები, რომლებიც ჩადიან დანაშაულს, უბრალოდ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩნენ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი სტრუქტურების და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრობლემა. პირველ რიგში, აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის და განათლების სამინისტროს ჩართულობაა, რამეთუ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია არის ერთმნიშვნელოვნად წამყვანი როლის და ფუნქციის მატარებელი. ფაქტობრივად რეფერირების კომისია ამ უყურადღებობის გამო უფუნქციოდ არის დატოვებული, ისევე, როგორც სპეციალური დაწესებულება, რომელიც არის სამტრედიაში. მისი ინფრასტრუქტურაც ვერ უძლებს კრიტიკას.

ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროები ერთობლივად იმსჯელებენ არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართულებით. მსჯელობა შეეხება როგორც რეფერირების სისტემას, ასევე მანდატურის სისტემის ეფექტიანობის გაზრდას და, რა თქმა უნდა, ეს არის კომპლექსური მიდგომა.

საჭიროა რეფერირების სისტემის და კომისიის დახვეწა, ასევე ინფრასტრუქტურა.

არა მხოლოდ სამტრედიის დაწესებულება, არამედ, როგორც მინიმუმ, კიდევ ერთი დაწესებულება დაგვჭირდება აღმოსავლეთ საქართველოში და ეს უნდა იყოს მოკლე პერიოდში სერიოზული მსჯელობის საგანი. საკითხი ეხება ბავშვებს, რომელიც ჩვენი მომავალია და მათი უყურადღებოდ დატოვება არის დიდი პასუხისმგებლობის თემა. ყველა სახელმწიფო ორგანომ, განათლების სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთობლივად უნდა იმუშაონ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად შეიძლება 14 წლამდე არასრულწლოვნების უკან, რომლებიც დანაშაულს ჩადიან, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები იდგნენ, შს მინისტრის თქმით, ეს თეორიულად შესაძლებელია, თუმცა კონკრეტული „ქეისები“ კონკრეტული გამოძიების საგანი უნდა იყოს.

– ეს შეიძლება იყოს გარკვეული საკანონმდებლო კაზუსი, თუმცა კონკრეტული „ქეისები“ უნდა იყოს კონკრეტული გამოძიების საგანი და, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს გამოძიება კონკრეტულ „ქეისებთან“ დაკავშირებით. ეს შეიძლება იყოს ვერსია, რომელსაც სჭირდება დასაბუთება და უნდა იყოს გამოძიების საგანი. თეორიულად მსგავსი რამ შესაძლებელია, – აღნიშნა შს მინისტრმა.

„ლავას ოღლის“ ადვოკატი საგამოძიებო ორგანოებს მიმართავს

კანონიერი ქურდის „ლავას ოღლის“ ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე საგამოძიებო ორგანოებს მოუწოდებს, გააკეთონ ისეთი განცხადება, რომლის მიხედვით, „ლავას ოღლის“ და შსს-ს მიერ რამდენიმე დღის წინ დაკავებული პირების კავშირი არ დასტურდება.

როგორც ალექსანდრე კობაიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინ დააკავეს პირები და გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულებს „ლავას ოღლისთან“ კავშირი აქვთ.

ადვოკატის თქმით, ეს არის დეზინფორმაცია და კავშირის თაობაზე მტკიცებულებაც არ არსებობს.

– მოგეხსენებათ, შსს აწარმოებს კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებებს, რის საფუძველზეც გარკვეულ ადამიანებს აკავებენ. თუმცა, სამწუხარო ფაქტი არის ის, რომ მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა ის ადამიანები რაიმე ფორმით დაკავშირებული არიან მინდია გორაძესთან, იგივე „ლავას ოღლისთან“, გახლავთ დიდი აბსურდი და ჭორი, საქმეშიც ერთი მტკიცებულება არ არსებობს. მით უმეტეს, პროკურატურა არ გვედავება და ფიზიკურად ვერ მოგვედავება, რომ მინდია გორაძეს რაიმე კუთხით შემხებლობა ჰქონდა ამ ადამიანებთან. გავრცელებული ინფორმაცია კავშირის თაობაზე არის დეზინფორმაცია. ამიტომ, საზოგადოებას და მედიას მოვუწოდებ, რომ თავი შეიკავონ ასეთი განცხადებისგან. შესაბამის საგამოძიებო უწყებებს მოვუწოდებ, რომ გააკეთონ ისეთი განცხადება, რაც არის რელევანტური და ეყრდნობა ფაქტებს.

ჭორის დონეზე ნუ საუბრობენ, თითქოს „ლავას ოღლის“ რაიმე შემხებლობა აქვს იმ პირებთან, რომლებიც ამ დღეებში დააკავეს. ასევე საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ თითქოს „ლავას ოღლის“ ყველა კრიმინალურ დაჯგუფებასთან და ა. შ. რაიმე ფორმით კავშირი აქვს, ეს ასე არ არის. იმედი მაქვს, რომ შსს გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას და დადასტურდება, რომ პირებს, რომლებიც თბილისსა და კახეთში დააკავეს, არანაირი კავშირი არ აქვთ „ლავას ოღლისთან, – განაცხადა ადვოკატმა.

ამასთან, კობაიძის თქმით, „ლავას ოღლის“ სასამართლო პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მის მიმართ საქმის წარმოება არ დასრულებულა. რაც შეეხება კითხვას, როდესაც „ლავას ოღლი“ იმყოფებოდა საქართველოში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, როგორ დატოვა მან ქვეყანა მაშინ, როცა მისი სასამართლო პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ადვოკატის განმარტებით, როცა საქმე სასამართლოში მიდის, ბრალდებულს ქვეყნის დატოვების თაობაზე პროკურატურის ნებართვა არ სჭირდება. ამასთან, მისივე ინფორმაციით, „ლავას ოღლის“ მიერ ქვეყნის დატოვების თაობაზე სახელმწიფო ინფორმირებული იყო.

– როდესაც „ლავას ოღლი“ დააკავეს, მან 9 თვე უკანონოდ დაჰყო პატიმრობაში, ხოლო როდესაც ბოლო დღეები იყო დარჩენილი, მას ახალი ბრალდება წაუყენეს, რომელიც პროკურატურის შეურაცხყოფას გულისხმობდა. ამ დანაშაულზე ის გაასამართლეს და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გარდა იმისა, რომ „ლავას ოღლი“ 9 თვე უკანონოდ იხდიდა სასჯელს, მან ეს 1 წელიც მოიხადა, გამოვიდა, რომ მას სხვა დანაშაულს არც ედავებოდნენ, ვინაიდან არ ჩაუდენია. რაც შეეხება „კანონიერ ქურდობას“, ამაზე საქმე დამთავრებული არ არის და კიდევ მიმდინარეობს საქმის წარმოება, – განაცხადა ადვოკატმა.

შსს-მ ორი დღის წინ გავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში ექვსი პირი დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი, მეტსახელად „ჩიკი“, „ბუბა“, „ამბერგუნა“ და კიდევ სამი სხვა პირი თბილისში, დედოფლისწყაროსა და წნორში ერთდროულად იქნა დაკავებული. სამინისტროსვე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები აღიარებენ ქურდულ სამყაროს, მონაწილეობდნენ ქურდულ გარჩევებში და კავშირი ჰქონდათ „ლავას ოღლისთან“, „კაკო ტბილისკისთან“, „ტოტორინისთან“, „ენცოსთან“ და სხვა.

„ეს იყო ხუმრობა, ზეწოლა არ ყოფილა“ – მოწმე ბექა რუსიას ტელეფონში ნაპოვნ ვიდეოზე

მუჟავას საგუშაგოზე გარდაცვლილი ბექა რუსიას საქმე – ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში რამდენიმე დღის წინ გასაჯაროებულ ფოტო-ვიდეომასალასთან დაკავშირებით კიდევ ორი მოწმე დაიკითხა. მთავარი კითხვები სკანდალურ კადრებს ეხებოდა, რომელიც რუსიას მობილურ ტელეფონში ინახებოდა.

რიგითმა, რომელიც მუჟავაში, რუსიასთან ერთად მსახურობდა, აღნიშნა, რომ კადრებში მოცემული მოქმედებები ხუმრობა იყო.

„ვიდეო მასალა ყველაფერი იყო ხუმრობა. არაფერ ზეწოლას არ ჰქონია ადგილი,“ – განაცხადა ერთ-ერთმა წვევამდელმა დაკითხვიდან გამოსვლის შემდეგ.

გარდაცვლილი წვევამდელის ოჯახის ადვოკატი როლანდ შონია ამბობს, რომ მოწმეებზე ზეწოლა ხორციელდება.

მისი თქმით, პროკურატურაში მისვლამდე წვევამდელები რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციაში იმყოფებოდნენ და საგამოძიებო უწყებაში ჯარისკაცები პოლიციის მანქანით მივიდნენ.

– პოლიციაში არანაირი საქმე არ ჰქონდა პროკურატურის გამოძიებაში არსებულ საქმეზე დასაკითხ მოწმეებს. პოლიციის მიერ მათი მოყვანა კანონსაწინააღმდეგოა, არანაირ პროცესუალურ ნორმებში არ ჯდება. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ მათზე ხორციელდება ზეწოლა სასურველი შედეგების მისაღწევად, – აცხადებს რუსიების ოჯახის ადვოკატი როლანდ შონია.

რუსიები პროკურატურას რეალური დამნაშავის მფარველობაში ადანაშაულებენ.

რასობრივ დისკრიმინაციაში ბრალდებულებს 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ

2018 წლის 31 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, რასობრივი დისკრიმინაციის ბრალდების საქმეზე ორ პირს სასჯელის სახედ და ზომად 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ინფორმაციას ამის შესახებ საქალაქო სასამართლო ავრცელებს:

– ირაკლი ა. და ლევან ა. სასამართლომ დამნაშავედ ცნო რასობრივ დისკრიმინაციაში. ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირ შეზღუდვაში, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება. ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2015 წლის 19 სექტემბერს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საღამოს საათებში, მსჯავრდებულებმა ნიგერიის მოქალაქეებს ჯგუფურად მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რამაც არსებითად ხელყო მათი უფლებები. იმავე დღეს, ლევან ა.-მ, მეტროსადგურ რუსთაველის მიმდებარედ, ასევე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სხვა ფერადკანიან პირებს. სასჯელის დანიშვნისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულების პიროვნება, მათი წარსული ცხოვრება, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ და ის გარემოება, რომ ისინი იყვნენ ნასამართლობის არმქონე პირები და სასჯელის სახით გამოიყენა წარდგენილი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი, – აღნიშნულია სასამართლოს განცხადებაში.

ცოლსა და სიდედრზე ძალადობაში ბრალდებულს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლისა და მეუღლის დედის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და მუქარისთვის ბრალდებული ვ.შ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111151-ე მუხლის პირველი ნაწილით და 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს:

– სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2017 წლის 3 დეკემბერს ვ.შ.-მ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მ.ჩ.-ს და ამ უკანასკნელის დედას დ.ბ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რა დროსაც მ.ჩ.-ს ხელი ჰკრა და იატაკზე წააქცია. წაქცევის შედეგად მ.ჩ.-მ თავი დაარტყა და ძლიერი ფიზიკური ტკივილი განიცადა. ასევე ვ.შ.-მ ხელი ჰკრა დ.ბ.-ს, რის შედეგადაც დაზარალებულმა თავი ჩამოარტყა მაგიდას. აღნიშნულის შემდეგ ვ.შ.-მ ორივეს თმებში ჩაავლო ხელი და გვერდით ოთახში გაათრია, შემდეგ კი დანის გამოყენებით დაზარალებულებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ვ.შ.-ს ქმედებით მ.ჩ.-მ და დ.ბ.-მ ძლიერი ფიზიკური ტკივილი განიცადეს და მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში გაუჩნდათ.

სამართალდამცველებმა ვ.შ. 2017 წლის 4 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111151-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ჩადენილი ოჯახის წევრების მიმართ) და 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ორი პირის მიმართ) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ვ.შ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

სუსმა მოხელისათვის ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო ქმედების ჩასადენად მოხელისათვის ქრთამის მიცემის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე ზაურ ბ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს დაუკავშირდა, რომელსაც ქ. ქუთაისში, გელათის ქუჩა №191-ში მდებარე შენობაზე, პროექტის გარეშე სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებაში მფარველობის გაწევის სანაცვლოდ ქრთამის სახით შესთავაზა 3.000 ლარი.

2018 წლის 30 იანვარს, ზაურ ბ.-მ მერიის წარმომადგენელს გადასცა ქრთამის სახით შეთავაზებული თანხა, 3.000 ლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება უკანონო ქმედების ჩასადენად მოხელისთვის ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

პომპეო: „რუსეთი 2018 წლის არჩევნებში ჩარევას აპირებს“

ამერიკის ცენტრალური საგადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის 2018 წლის არჩევნებში ჩარევას აპირებს.

– ჩვენ სათანადო ინფორმაცია გაგვაჩნია, – ამტკიცებს ცსს-ის შეფი.

პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ ამერიკული საარჩევნო სისტემა ჯერჯერობით გარედან ჩარევისგან ბოლომდე დაცული არ არის. მიუხედავად ამისა, როგორც მან აღნიშნა, ცსს რუსების ჩარევას არ დაუშვებს.

– ამერიკის დაზვერვა მსოფლიოში საუკეთესოა! რუსებსაც საკადრის პასუხს გავცემთ! – თქვა პომპეომ.

სვანიძემ შევჩენკოს სილა გააწნა – მუშტი-კრივი „კომსომოლსკაია პრავდას“ ეთერში

რადიო „კომსომოლსკაია პრავდას“ ეთერში დებატებზე ერთმანეთს ლიბერალი ისტორიკოსი სვანიძე და ჟურნალისტი კომუნისტი მაქსიმ შევჩენკო დაუპირისპირდნენ. დისკუსია სტალინის პერსონის გარშემო გაჩაღდა.

შევჩენკომ თქვა, რომ სტალინი დიდი რუსი პოლიტიკოსია, რომელმაც დაიპყრო უკრაინა, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია, მთელი აღმოსავლეთ ევროპა და აზიასაც გადასწვდა. სტალინმა რუსეთის იმპერია არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, ამტკიცებდა შევჩენკო.

სვანიძემ პასუხად მიუგო, რომ სტალინმა მილიონობით ადამიანი გაჟლიტა და ჰიტლერზე უკეთესი არაფრით არ იყო.

დისკუსია ჯერ ურთიერთშეურაცხყოფაში, შემდეგ კი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. სვანიძემ შევჩენკოს სილა გააწნა. ამ უკანასკნელმა კი ისე გაარტყა, რომ ძირს დასცა.

მოჩხუბრები გააშველეს. გადაცემა ჩაიშალა.

აშშ-მ რუსეთს უკან დაახევინა

„კრემლის სიის“ გამოქვეყნებამ გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. სიაში თითქმის მთელი რუსეთის მთავრობა, აგრეთვე კრემლთან დაახლოებული ოლიგარქები მოხვდნენ. აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა, რომ მათზე სანქციები გავრცელდეს.

– ასეთი სანქციების შემოღების შემთხვევაში მთელი ჩვენი მრეწველობა პარალიზებული იქნება, – აცხადებს რუსი პოლიტოლოგი და ტელეწამყვანი სოლოვიოვი.

ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი აღნიშნავს, რომ გამოიკვეთა ომის სამი კერა: სირია, ჩრდილოეთ კორეა და უკრაინა. რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები კარსაა მომდგარი. პუტინსაც ძალიან სურდა, არჩევნების წინ რუსი ობივატელის წინაშე ქულები ჩაეწერა და კიევური ჩიხიდან რუსებისთვის სასურველი გამოსავალი ეჩვენებინა.

– საუბარი იყო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ან ყირიმის სცენარის განმეორებაზე დონბასში, – ამბობს პიონტკოვსკი.

უკრაინელებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ბრძოლა ისწავლეს. ცოტა ხნის წინ ახალი ფრთოსანი რაკეტებიც წარმატებით გამოსცადეს. ამას თვით კრემლის მოკავშირეებიც აღიარებენ.

– ამერიკელების დახმარებით მაიმუნი, სახელწოდებით უკრაინა, მგლად გადაიქცა! საერთო ევროპული საფრთხეც დიდია! – ეს სიტყვები ჩეხეთის პრორუსულ პრეზიდენტ ზემანს ეკუთვნის.

ვაშინგტონისათვის „კრემლის სიის“ გამოქვეყნება არასასურველი ვარიანტი იყო. ტრამპი ამაზე მხოლოდ იმიტომ წავიდა, რომ საკითხი შემდეგნაირად დადგა: ან ფართომასშტაბიანი ომი, ან დამატებითი სანქციები.

– აშშ უკანასკნელ მომენტამდე თავს იკავებდა. ბოლოს ვაშინგტონმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, – ამბობს ვიტალი პორტნიკოვი.

პუტინი გაღიზიანებას არ მალავდა. თავის სატელევიზიო გამოსვლაში მან განაცხადა, რომ დასავლეთი რუსეთის მიმართ სამართლიანად არ იქცევა.

– არ მესმის, რა უნდათ ჩვენგან? რაო, ჩვენი ინტერესები არ დავიცვათ? სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდის საშუალება მივცეთ საქართველოს, თუ უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებაზე თვალები დავხუჭოთ და რუსი მოსახლეობა ბანდერელებისგან არ დავიცვათ?! – თქვა პუტინმა.

მან აღნიშნა, რომ „კრემლის სიით“ ამერიკამ რუსეთი დაამცირა. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონთან ურთიერთობის გაწყვეტას არ აპირებს.

– ისინი, ვინც აშშ-სთან ურთიერთობების გაწყვეტისკენ მოგვიწოდებენ, ან ბრიყვები არიან, ან პროვოკატორები! დიახ, დაგვამცირეს, სილა გაგვაწნეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის! უნდა მოვითმინოთ! – თქვა პუტინმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ნოივარტმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთის მიმართ დამატებით სანქციებს არ აამოქმედებს. პუტინმაც შემხვედრი ნაბიჯი გადადგა.

– ჩვენ შეგვეძლო, ამერიკის მიმართ კონტრსანქციები აგვემოქმედებინა, მაგრამ ამ ეტაპზე ამას არ გავაკეთებთ! – თქვა მან.

ამრიგად, რუსეთმა უკან დაიხია. ანდრეი პიონტკოვსკი აღნიშნავს, რომ დონბასში ესკალაცია უკვე გამოირიცხა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა მოგვარდა. რუსეთი უკრაინის „ამოყირავებას“ კვლავაც შეეცდება, ოღონდ ახლა აქცენტი სპეცოპერაციებზე გაკეთდება. მოსკოვი ასევე შეეცდება, შექმნას პრობლემები სირიასა და დასავლეთ ევროპაში. შემთხვევითი არაა, რომ პუტინის მეგობარი ბერლუსკონი კვლავ გააქტიურდა, ან ის, რომ ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში პრორუსული ლობი სულ უფრო ინტენსიურად მოქმედებს.

ყოველივე ამის გამო ტრამპმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რუსეთი, ისევე, როგორც ჩინეთი, აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგეა.

დიდი თამაში სახელწოდებით - რუსეთი დასავლეთის წინააღმდეგ, გრძელდება.

ხარკოველ სეპარატისტ ტოპაზს 8 წელი მიუსაჯეს

უკრაინული სასამართლოს წინაშე ხარკოველი იგნატ კრიმსკი (მეტსახელად ტოპაზი) წარდგა. მას 2014 წელს ხარკოვში მასობრივი არეულობების ორგანიზება და ხარკოვის საოლქო ადმინისტრაციის შტურმით აღების მცდელობა ედება ბრალად.

კრიმსკი ანტიმაიდანის ერთ-ერთი აქტივისტი გახლდათ და ევრორევოლუციის დროს უკრაინელ პატრიოტებს თავს ესხმოდა. მან პირადად აწამა რამდენიმე პატრიოტი. იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ ტოპაზმა თავის ბანდასთან ერთად ხარკოვის საოლქო ადმინისტრაციის აღება და ე.წ. ხარკოვის რესპუბლიკის გამოცხადება სცადა.

ეს მცდელობა აღკვეთა ხალხმა და არა ძალოვნებმა, რომლებიც იმხანად პარალიზებულნი იყვნენ.

ხელისუფლება ტოპაზს ძალზე ლმობიერად მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციის შტურმისას ხალხი დაიღუპა, შინაპატიმრობა აკმარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ტოპაზი პატიმრობიდან გაიქცა და რუსეთში გადასვლა სცადა. რუსეთ-უკრაინის საზღვარზე კვლავ დააკავეს, თუმცა ტოპაზის სასამართლო მხოლოდ 2018 წლის იანვრის ბოლოს შედგა.

ტოპაზს 8 წლით პატიმრობა და ქონების კონფისკაცია მიესაჯა. სასამართლოზე მან განაცხადა, რომ განაჩენი უსამართლოა და მას აუცილებლად გაასაჩივრებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



ტურისტებმა მთამსვლელი გადაარჩინეს

ჰიმალაის მთებში მთამსვლელების ჯგუფმა მწვერვალზე ასვლა შეაჩერა და 200 კილომეტრით დაშორებით მყოფი ტურისტების დასახმარებლად გაემართა.

პოლონელმა ტომეკ მარცინკევიჩმა და ფრანგმა ელიზაბეტ რევოლმა მწვერვალ ნანგაპარბატის დალაშქვრა გადაწყვიტეს, მაგრამ 7200 მეტრის სიმაღლეზე ტომეკს მთის ავადმყოფობა და თოვლის სიბრმავე დაეწყო. ამიტომ ფრანგმა მთამსვლელმა გადაწყვიტა, მარტო წასულიყო დასახმარებლად, მაგრამ ქარბუქში მოყვა და გაიყინა.

ოთხმა პოლონელმა მთამსვლელმა, რომლებიც ნანგაპარბატიდან 200 მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ, უბედურების სიგნალი მიიღეს და ტურისტების გადასარჩენად გაემართნენ. ადგილზე მისაღწევად, მათ პაკისტანის შვეულმფრენებისთვის სახელმწიფო გარანტიის მიცემა მოუხდათ, საათში 50 ათას დოლარზე.

– ბიჭები, რომლებიც მათ დასახმარებლად გაემართნენ, ნამდვილი გმირები არიან, ჰიმალაებში ზამთარი – ეს დედამიწაზე ყველაზე მკაცრი პირობებია, როგორიც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. ქარი საათში 95 კილომეტრი სიჩქარით უბერავს, ტემპერატურა მინუს 60 გრადუსამდე ეცემა, სიმაღლე სიცოცხლისთვის შეუთავსებელია, – აღნიშნა ერთ-ერთმა მაშველმა.

მიუხედავად იმისა, რომ მაშველი ჯგუფი ადგილზე გვიან ღამით მივიდა, მათ მაინც დაიწყეს ფრანგი მთამსვლელის გადასარჩენად ასვლა და შედეგად რევოლი გადარჩა, მას ხელები და ფეხები აქვს მოყინული. მარცინკევიჩი 7200 მეტრის სიმაღლეზე დარჩა, ვინაიდან უამინდობის გამო მაშველებმა მასთან მისვლა ვერ შეძლეს, სავარაუდოდ, ის დაიღუპა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში საამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ალექსის სანჩესი: „იუნაიტედ, შენ სანჩესი გამოგადგება“

გუშინ გვიან ღამით დასრულდა ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა, რომელსაც კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ახალი კლუბი უნდა გაერკვია. თუმცა, ეს სულაც არ ადარდებდა მანჩესტერ იუნაიტედის ახალწვეულ ალექსის სანჩესს, რომელმაც ახალი ნავსაყუდელი დროულად იპოვა და უკვე პირველი ინტერვიუც გამოქვეყნდა.

– როგორი გრძნობაა იყო მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი?

– როდესაც ბავშვი ვიყავი, იუნაიტედში თამაში ჩემი ოცნება იყო, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ახლა აქ ვარ, ეს სიმართლეა. მე ბავშვობიდან ვოცნებობდი იუნაიტედზე და ეს დღეც დადგა, ამაზე ერთხელ სერ ალექს ფერგიუსონთანაც ვისაუბრე. ეს საუბარი ოციოდე წუთს გაგრძელდა და მე მას გავუმხილე ჩემი ოცნება. იუნაიტედი არის ძალიან დიდი და ძლიერი კლუბი და, როდესაც შანსი გამიჩნდა აქ თამაშის, თმა ყალყზე მედგა, ეს ყველაზე დიდი კლუბია ინგლისში.

– შენი აზრით, რამდენის მილწევა შეგიძლია იუნაიტედში?

– ვფიქრობ, ამ კლუბში ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი, მაისურის სამკერდე ნიშანი ყველაფერს ამბობს, ეს უდიდესი კლუბია. მე აქ ყველაფრის მოგება მსურს, პირველ რიგში, ჩემპიონთა ლიგის და პრემიერ ლიგის.

– თავად თქვი, რომ იუნაიტედში თამაში სერ ალექსის დროსაც გინდოდა, ახლა, როცა აქ ხარ, რას გრძნობ?

– ეს მართალია, მე ყოველთვის მოტივირებული ვიყავი ამ კლუბით, წითელი ფერი, ეს ჩემშია. მე მართლა მთელი გულით ვამბობ, რომ ეს ოცნების ახდენაა, აქაურობა უბედნიერესს მხდის. ამაყი ვარ აქ ყოფნით, „ოცნებების თეატრში“, როგორც ამას უწოდებენ.

– როგორია ჟოზე მოურინიოს წვლილი ტრანსფერში?

– მან მიმანიშნა, რომ კლუბისთვის მნიშვნელოვანი ვიყავი, მიმანიშნა, რომ როგორც მას, ისე კლუბს სურდა ჩემი აქ ყოფნა. მე შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, როდესაც მათ 7-ნომრიანი მაისური ჩამაცვეს. ვფიქრობ, ეს ფეხბურთელისთვის ყველაფერს ნიშნავს. ფეხბურთელს ხანდახან სჭირდება, თავი მნიშვნელოვნად იგრძნოს. ამ ყველაფერმა ძალიან მიმიზიდა, რაც შეეხება მწვრთნელს, მან იტალიასა და ესპანეთში ყველაფერი მოიგო. იგი არის მწვრთნელი, რომელსაც გამარჯვება სწყურია.

– 7 ნომერი იუნაიტედში მხოლოდ ნომერი არაა, ეს ისტორიაა. მას ატარებდნენ: ერიკ კანტონა, რონალდო, ბექემი და სხვები. როგორია იყო შემდეგი შვიდიანი?

– როდესაც ეს გავიგე, რომ მათ შემდეგ ამ ნომერს მე მაძლევდნენ, თავში გამიელვა უდიდესმა სურვილმა, რომ ავწიო ამ ნომრით ჩემპიონთა ლიგის და პრემიერ ლიგის თასები. მე ვეცდები ჩემი მაქსიმუმის დადებას და ბევრი ტიტულის მოპოვებას კლუბისთვის.

– მწვრთნელმა თქვა, რომ მოცემული შემადგენლობა, საუკეთესოა რაც კი ოდესმე გაუწვრთნია. როგორია ამ ოჯახში შემოსვლა და მათ ახალ წევრად ყოფნა?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გასახდელში თუ ერთ ოჯახად ვიქნებით შეკრულნი, ეს აუცილებლად დაგვეხმარება ტიტულების მოპოვებაში. მე ვთამაშობდი ესპანეთში და იქაც შესანიშნავი ატმოსფერო სუფევდა გასახდელში, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმ წარმატებების, რასაც იქ მივაღწიეთ. ჩემი აზრით, ახალი ფეხბურთელების დამატება გუნდისთვის მნიშვნელოვანია, ახალი ძალა ყოველთვის კარგია, ამიტომაც ვარ აქ, რომ დავეხმარო კლუბს ყველაფრის მოგებაში.



– იცნობ თუ არა კარგად რომელიმე შენს ახალ თანაგუნდელს? როგორი იყო მათ წინააღმდეგ თამაში? პირველ რიგში დე ხეას წინააღმდეგ, რომელთანაც რამდენიმე კვირის წინ მოგიხდათ დაპირისპირება.

– მათ პიროვნულად კარგად არ ვიცნობ, ჯერ არ მქონია მათთან ერთად დროის გატარების შესაძლებლობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მე მითამაშია მათ წინააღმდეგ და ვიცი მათი შესაძლებლობები. ჩემი აზრით, დე ხეა ამ დროისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა – მე ყოველთვის მიჭირდა მისთვის გოლის გატანა.

– როგორ შეაფასებ შენ თავს, როგორც ფეხბურთელს?

– მე ვარ ფეხბურთელი, რომელსაც სურს მოიგოს ყველაფერი. ვარ პროფესიონალი იმაში, რასაც ვაკეთებ, მე ფეხბურთით ვცოცხლობ, მიყვარს ეს თამაში. ყოველდღე ვვარჯიშობ ძალიან დატვირთულად. ყოველი თამაშის შემდეგ ვაფასებ ჩემ თავს, თუ რა გამომივიდა კარგად და რაში მჭირდება გაუმჯობესება. მიყვარს თამაში მარცხნივ, ასევე შუაში, თუმცა, რომ არ მოვიტყუო, ნებისმიერ პოზიციაზე კარგად ვგრძნობ თავს.

– რას გვეტყვი შენს ცნობილ ძაღლებზე?

– დიახ, ატომი და ჰამბერი, ჩემი ბიჭები არიან. ისინი ყოველდღე ჩემთან ერთად ატარებენ გარკვეულ დროს. ისინი ყოველთვის მიცდიან სახლში, მათ შეუძლიათ მიხვდნენ, როგორ ვგრძნობ თავს. ისინი არიან ერთადერთები, ვისაც შეუძლია შენ გვერდით იდგნენ, როგორც გამარჯვების, ასევე დამარცხების დროს. როდესაც არ ვარ ხასიათზე, ყოველთვის ცდილობენ ჩემს გამხიარულებას.

– როგორი რეაქცია მოჰყვა ჩილეში შენს ტრანსფერს? შენ პირველი ჩილელი ხარ იუნაიტედის ისტორიაში, როგორ მიიღეს ეს მათ?

– იუნაიტედში პირველ ჩილელად ყოფნა, ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, კიდევ ვამბობ, აქ ყოფნა ჩემთვის ნამდვილად ოცნების ახდენაა, მე არ მავიწყდება, საიდან დავიწყე და ისინი მუდამ მახსოვს. დედა ყოველთვის მეუბნებოდა – ისიამოვნე ფეხბურთის თამაშით, რადგან ეს ისაა, რაც ყველაზე კარგად გამოგდის. ჩემი აზრით, ჩილეში ჩემზე ბევრს ფიქრობენ და მგულშემატკივრობენ, მე მათი ძალიან მადლობელი ვარ. ისინი ჩემ მიმართ ყოველთვის სითბოს იჩენენ. ეს ნიშნავს რაღაცას, იყო პირველი ჩილელი იუნაიტედის ისტორიაში.

– რას ეტყვი იუნაიტედის გულშემატკივრებს?

– ალექსის სანჩესი აქაა, მას გამარჯვება სწყურია, მას სურს ყველაფრის მოგება, პრემიერ ლიგის, ჩემპიონთა ლიგის და სხვა. იუნაიტედ – შენ ალექსისი გამოგადგება.

მერაბ შარიქაძე: „ქუთაისი სანაკრებო თამაშებს უფრო მეტად იმსახურებს“

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2018 წლის სანაკრებო სეზონის დაწყებისთვის, რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის ემზადება, რომელსაც 10 თებერვალს ქუთაისის „აია არენა“ უმასპინძლებს.

ნაკრები შევარდენზე 4 თებერვალს შეიკრიბება, მანამდე ნაკრების დიდი 10-ის კლუბებში მოთამაშე წევრები კვირაში რამდენჯერმე იკრიბებიან და მომავალი მატჩებისთვის ემზადებიან.

თბილისშია „ბორჯღალოსნების“ კაპიტანი, ფრანგული ორიაკის შუამარბი მერაბ შარიქაძეც. მისი აზრით, 2019 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების გზაზე ყოველ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ქუთაისმა კი ნაკრების მასპინძლობა დაიმსახურა და იქ სანაკრებო თამაშები უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს!

მერაბ შარიქაძე:

– რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის ჯერ ოფიციალური შეკრება არ დაგვიწყია. მორაგბეთა ის ჯგუფი, რომელიც თბილისში იმყოფება, კვირაში რამდენჯერმე შევარდენზე ვარჯიშობს, ხოლო ლეგიონერებს კლუბებში ჯერ კიდევ უწევთ თამაში და, ჯერჯერობით, ნაკრებზე სრულად არ ვართ გადმორთული.

– ბოლო წლებში საქართველო რაგბის ევროპის ჩემპიონატის უცვლელი გამარჯვებულები იყო და თასის შესანარჩუნებლად იბრძოდა, წელს კი მიზანი განსხვავებულია – თასის დაბრუნება.

– შარშან ჩვენთვის უჩვეულო რამ მოხდა, ტრადიცია „დავარღვიეთ“ და თასი დავთმეთ. პირადად ჩემს პოზიციას გეტყვით და დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭებიც ასე ფიქრობენ და არავითარ შემთხვევაში აღარ ვაპირებთ იგივე შეცდომების გამეორებას! „კბილებალესილი“ ველოდები რუმინეთთან თამაშს, რათა თასები დავიბრუნოთ. მანამდე გრძელი გზაა, თუმცა მთავარი მიზანია, ტიტული კუთვნილ ადგილას დავაბრუნოთ.

– ბელგიას ქუთაისში ვეთამაშებით, სადაც ნაკრებს 13 წელია არ უთამაშია.

– ქუთაისი ნამდვილად იმსახურებს წელიწადში რამდენიმე სანაკრებო თამაშს. ამ ქალაქს დიდი სარაგბო ისტორია და ტრადიციები აქვს და ქუთაისელი გულშემატკივარი ნაკრების ყოველ წელს ხილვას იმსახურებს. მესმის, რომ იქ იმ მასშტაბის სტადიონი არაა, როგორიც თბილისში, მაგრამ ბელგიასთან, გერმანიასთან და ესპანეთთან, ჩემი აზრით, სწორედ ქუთაისში უნდა ვთამაშობდეთ. დარწმუნებული ვარ, 10 თებერვალს სტადიონი გადაჭედილი იქნება და ძალიან დიდი მხარდაჭერა გვექნება!

ცუდი გოლდენ სტეიტი და კარგი ფაჩულია

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტი იუტა ჯაზს ესტუმრა და ანგარიშით 99:129 დამარცხდა. გოლდენ სტეიტს ამ სეზონში ასე ცუდად ჯერ არ უთამაშია – ჩემპიონი უჩვეულოდ ცუდად გამოიყურებოდა, თუმცა ზაზა ფაჩულიამ საკმაოდ კარგად ითამაშა.

უორიორსის ქართველმა ცენტრმა 19 წუთი დაჰყო პარკეტზე. ამ დროის განმავლობაში 9 ქულა, 7 მოხსნა (3 შეტევაში, 4 დაცვაში) და 2 პასი დააგროვა. ზაზამ კალათში 7-დან 4 ორქულიანი მოათავსა და ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. გარდა ამისა, ფაჩულიას ანგარიშზე 2 ჩაჭრა და 2 დაფარებაც იყო

უორიორსის ლიდერებს თამაში აშკარად არ წაუვიდათ, რომელთაც სიზუსტემ აშკარად უმტყუნა. სტუმრებიდან ყველაზე მეტად კლეი ტომპსონი გამოირჩა, რომელმაც შეხვედრაში ყველაზე მეტი, 27 ქულა ჩააგდო. კევინ დურანტმა 17 ქულა ჩააგდო, ხოლო სტეფ კარიმ – 14.

იუტასთვის ეს ამ სეზონში საუკეთესო მატჩი იყო. 22 მოგებითა და 28 წაგებით ჯაზი დასავლეთ კონფერენციაში მე-10 ადგილზეა. გოლდენ სტეიტისთვის კი ეს ამ სეზონში მხოლოდ მე-11 მარცხია და ფაჩულიას გუნდი ისევ ლიდერია.

გადმოვინაცვლოთ ევროპაში, სადაც მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილია ევროთასზე თამაშობს. ემილიელებმა ჯგუფის ფავორიტის ყაზანის უნიკსის ორჯერ ძლევის შემდეგ, მე-5 ტურში აქამდე უქულოდ მყოფ ფრანგულ ლიმოჟთან 71:80 დამარცხდა.

მანუჩარმა მოედანზე მცირე დრო დაჰყო და ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მალე დაიხუნძლა პერსონალური ფოლებით – 11 წუთში 3 ჯარიმა მიიღო. ამ დროში კი მხოლოდ 3 ქულა შესძინა თავის გუნდს (2-დან 0 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი) და ერთხელ ჩაჭრა ბურთი.

5 ტურის შემდეგ რეჯიო ემილიას 3 მოგება და 2 მარცხი აქვს და 6 თებერვალს ბოლო ტურში ასევე ფრანგულ ვილერბანს მასპინძლობს.

გოგა ბითაძის მეგა ბიმაქსმა კი ადრიატიკის ლიგაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, რითაც ფაქტობრივად შეინარჩუნა ადგილი ბალკანურ მულტიეროვნულ ჩემპიონატში. მე-18 ტურის შეხვედრაში ბიმაქსელებმა მაკედონიური მტზ სკოპიე 106:77 გაანადგურეს და ამ გუნდის მიმართ სხვაობა 3 ქულამდე გაზარდეს.

ბითაძე ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 25 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გოგამ 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. სარგებლიანობის კოეფიციენტის (21) მხრივ, ბითაძე მხოლოდ სლოვენიელ თანაგუნდელ ვლატკო ჩანჩარს ჩამორჩა, რომელმაც 22 ქულას 5 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება წაამატა.

6 მოგებითა და 12 მარცხით მეგა ბემაქსმა სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი ბელგრადში, პარტიზანთან გამართავს.

შედეგები

30 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

სუონსი-არსენალი 3:1
ვესტ ჰემი-კრ.პალასი 1:1
ჰადერსფილდი-ლივერპული 0:3

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	24	21	2	1	70-18	65
2.მანჩესტერი	24	16	5	3	49-16	53
3.ჩელსი	24	15	5	4	45-16	50
4.ლივერპული	25	14	8	3	57-29	50
5.ტოტენჰემი	24	13	6	5	47-22	45
6.არსენალი	25	12	6	7	46-34	42
7.ლესტერი	24	9	7	8	36-32	34
8.ბარნლი	24	9	7	8	19-21	34
9.ევერტონი	24	7	7	10	26-39	28
10.ვესტ ჰემი	25	6	9	10	31-43	27
11.უოტფორდი	24	7	5	12	33-44	26
12.კრ.პალასი	25	6	8	11	23-38	26
13.ბორნმუთი	24	6	7	11	25-36	25
14.ჰადერსფილდი	25	6	6	13	19-44	24
15.ნიუკასლი	24	6	5	13	22-34	23
16.ბრაიტონი	24	5	8	11	17-33	23
17.სუონსი	25	6	5	14	18-36	23
18.სტოკი	24	6	5	13	25-50	23
19.საუთჰემპტონი	24	4	10	10	24-35	22
20.ვესტ ბრომვიჩი	24	3	11	10	19-31	20

ინგლისი.
ჩემპიონიგა

ბარტონი-რედინგი 1:3
ბირმინგემი-სანდერლენდი 3:1
მიდლსბრო-უენსდი 0:0
მილუოლი-დერბი 0:0
ნოტინგემი-პრესტონი 0:3
ჰალი-ლიდსი 0:0
შეფილდი-ასტონ ვილა 0:1

იტალია. თასი

ატალანტა-იუვენტუსი 0:1

საფრანგეთი. თასი

რენი-პსჟ 2:3

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-სოშო 0:1

ჰოლანდია. პრემიერ ლიგა

ბრაგა-ავიში 2:0
ეშტორილი-ტონდელა 3:0
მორეირენშე-პორტუ 0:0

მოტლანდია. პრემიერ ლიგა

სელტიკი-ჰარტსი 3:1

ბელგია. თასი

კორტრაიკი-გენკი 3:2

მოამზადა მანუელ ყორეულიანმა

ავსტრალიელებმა უნიტაზში მყოფი გველი მოჩვენებად აღიქვეს



ავსტრალიური ოჯახი რამდენიმე დღის განმავლობაში ფიქრობდა, რომ მათ სახლში მოჩვენება დასახლდა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ უცნაური მოვლენების მიზეზი გველი იყო, რომელიც უნიტაზის ჩამრეცი ავზში იყო ჩაბუდებული. რეპტილიის უნიტაზის ავზიდან ამოყვანის პროცესი ვიდეოზე იქნა გადაღებული და ის ადგილობრივ მას მედიაში გავრცელდა.

ინციდენტი ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ნუზაში მოხდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ-ერთ სახლში უმიზეზოდ ირთვებოდა წყლის ჩამრეცხი მოწყობილობა და მისი ბინადარნი ამას პარანორმალურ მოვლენას უკავშირებდნენ. როდესაც მათ გადაწყვიტეს საქმეში გარკვეულიყვნენ და მეოთხე დღეს უნიტაზის ავზი შეამოწმეს, იქ მათ ოთხმეტრიანი გველი – ყავისფერი ბოიგი აღმოაჩინეს.

ვიდეორგოლში ჩანს, რომ გველებზე მონადირე ლიუკი ავზს ხსნის და იქიდან ნელ-ნელა გველის ამოყვანას იწყებს. რეპტილია თავდასხმას ცდილობს, მაგრამ ის მასზე სწრაფად მოქმედებს, საბოლოოდ მას გველი ამოჰყავს ავზიდან და პლასტიკატის ტომარაში ათავსებს.

მოგვიანებით გველი ბუნებაში გაუშვეს.

გერმანიაში კაკალს მანქანაზე დაცემის უფლება მისცეს

ერთ-ერთი გერმანული პორტალი ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კაკალს მანქანაზე დაცემის უფლება მისცეს.

ფრანკფურტის საოლქო სასამართლომ უარყო ქალის სარჩელი, რომელიც ცდილობდა მეზობლისგან კომპენსაციის სახით მიეღო ოთხი ათასი ევრო, მისი მანქანისთვის მეზობლის კაკლის მიერ მიყენებული ზარალისთვის. მოსარჩელის ჩვენების თანახმად, კაკლის ხის ტოტები და ნაყოფები ძლიერი ქარის დროს მის ავტომობილს დაეცა, რის შედეგადაც ავტომობილის კაპოტზე, სახურავსა და საბარგულზე ნაჭდევები გაჩნდა.

მოპასუხის თქმით, ხის ტოტები მეტრნახევარზეა გაწვდილი მისი ეზოს ტერიტორიაზე და ის ყოველთვის ჭრიდა მათ, როგორც კი წამოიზრდებოდნენ.

საბოლოოდ სასამართლომ დაადგინა, რომ ქალმა პრეტენზია უნდა წარუდგინოს არა მეზობელს, არამედ ხეებს. მათ კი, თავის მხრივ, არ შეუძლიათ პასუხი აგონ საკუთარ ქმედებაზე, ვინაიდან შემოდგომაზე ნაყოფის ცვენა „ბუნებრივ ფაქტს“ წარმოადგენს.

– ერთადერთ საშუალებას საფრთხის სრულად გამოსარიცხად, წარმოადგენს ხის მოჭრა, ან მისთვის დამცავი ბადის შემოხვევა, – ნათქვამია სასამართლოს დადგენილებაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამარ ამაშუკელი ყოფილი კავშირგაბმულობის შენობის ნგრევას აპროტესტებს

ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელი რუსთაველის გამზირზე მდებარე ყოფილი კავშირგაბმულობის შენობის ნგრევას და მის ადგილას სასტუმროს მშენებლობას აპროტესტებს:

– „სოს! სოს! სოს! წარმოუდგენელი ამბავია, წარმოუდგენელიიიიიი! წინასწარი შეთანხმება პროექტმა ერთხმად!! დაიმსახურა! საბჭოს 6 წევრმა ერთხმად მოიწონა ეს პროექტი შენიშვნების გარეშეეეე! არქიტექტორის შალვა მიქელაძე.

პ.ს. მე მაპატიეთ, ნამეტანი საშინელებებს ვდებ ამ ბოლო დროს.

თამაზ ტყემალაძე: „გული ცუდს მიგრძნობს“

აცხადებს ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე და განვლილ ცხოვრებას აფასებს:

– ბევრი ვიწრიალე... ვიფიქრე, ვწერე, მოვიგონე... ბოლოს მივხვდი, რომ სიცოცხლე მომწყინდა...

მაპატიეთ ერთ პაწია, შტერულ სიცოცხლეში რამდენი გოთვერნობა ვნახე, სამსახურში მისვლა აღარ მინდა, ვერც მე ვიტან ჩემი თავის არაფრობას...

წარმოუდგენელია.. დღეს მე არა ვუწყი, რა ხდება ტელევიზიაში, სადაც უამრავი საქმე მიკეთებია... პოეტი იტყვის, „ასე ღამდება ერთ სიცოცხლეში.“ ჯანდაბას... გული ცუდს მიგრძნობს...

საქართველო წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს აღნიშნავს

პირველ თებერვალს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია უკვე მესამედ აღნიშნავს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს.

– შეიტანეთ თქვენი წვლილი საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაციის საქმეში. იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! – ასეთია პროექტის ორგანიზატორთა მოწოდება.

წელს ასოციაციის ორგანიზებით, საქართველოში კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებებით დატვირთული წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე იგეგმება.

„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა და მას ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ, ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა 31 მილიონამდე აღწევს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ჯენარო გატუზო: „გვირაბის ბოლოს სინათლე დავინახეთ“

გასული წლის ნოემბრის ბოლოს ჯენარო გატუზომ მილანის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ვინჩენცო მონტელა შეცვალა. ძალიან ცუდი სტარტისა და ბენევენტოსთან დამამცირებელი ფრის შემდეგ, ყველას ეგონა, რომ გატუზოს მწვრთნელობა რამდენიმემატჩიანი იქნებოდა, თუმცა ახლა რეალობა სხვაა.

გუნდმა ბოლო 5 მატჩიდან 4-ში მოახერხა გამარჯვება. კვირას კი ძალიან ძლიერ რომის ლაციოს დამაჯერებლად მოუგო.

მილანელთა მთავარმა მწვრთნელმა ლაციალესთან (2:1) გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებს თავისი ემოციები გაუზიარა და ისიც აღნიშნა, რომ მილანელთა პირველი გოლი წესების დარღვევით გავიდა.

ჯენარო გატუზო:

– დღევანდელი გამარჯვებით ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემ ბიჭებს თავდადებისათვის. მადლობა კუტრონესა და ბონავენტურას გოლებისათვის, თუმცა, თუ ვიდეოს ნახავთ, დარწმუნდებით, რომ პირველი გოლის მომენტში პატრიკმა ხელით ითამაშა. სიმართლე გითხრათ, თავიდან მეგონა, რომ კუტრონემ თავით გაიტანა, თუმცა შემდეგ ვნახე, რომ ეს ასე არ იყო და პირველი გოლი უნდა გაუქმებულიყო. მიუხედავად ყველაფრისა, გუნდმა კარგად ითამაშა, თუმცა წინ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა გვაქვს გასავლელი. ანდრე სილვა? დაანებეთ თავი. თავდაპირველად, მილანში მოსვლის დროს, ვან ბასტენიც ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ყველამ იცის, თუ ვინ იყო და როგორ თამაშობდა იგი. თითოეული ჩემი ფეხბურთელის შემართებით აღფრთოვანებული ვარ. როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს სინათლე ვნახეთ, მაგრამ ჩვენ ამით არ დავკმაყოფილდებით.

მოამზადა მანეილ ყორეოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

1 თებერვალი

ვერძი – ნუ აჩქარდებით. ერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. ყველა უსიამოვნება წარსულში რჩება. **კურო** – ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ ადვილად ახერხებთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კირჩხიბი** – პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ლომი** – ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **ქალწული** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **სასწორი** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **მერწყული** – კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **თევზები** – ნუ გადადგამთ სარისკო ნაბიჯებს. მაინც ის მოხდება, რაც მოსახდენია. თავს უაზროდ ნუ გაინირვიულებთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. მუსლიმთა კალენდარი; 5. ქართულ ბალეტ „დემონის“ მუსიკის ავტორი; 8. გემის მზარეული; 9. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 12. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 13. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 15. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 1. ჩაღრმავებულგამოსახულებიანი ძვირფასი ქვის ნაკეთობა; 6. ფილტვების დაავადება; 7. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. სახელმწიფოს სიმბოლო; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ტბა ბათუმში; 14. პირველი გერმანული ოპერა; 16. ქართული ლუდი; 17. გამკვრივებული თევზის ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო ზეთისებრი ნივთიერება; 18. მთიანეთი აზიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბრეცია; 2. ქააბა; 3. ტუბა; 5. ვოლანი; 6. უბისა; 7. მუსკატი; 11. ნარიტა; 13. ჰაიდუკი; 14. ქარვა; 15. პაპაინი; 16. წალკოტი; 17. აგუერო; 19. ოკაპი; 20. ცემი.

თარაზულად: 1. ბოქსიტი; 4. მძივი; 8. ბრუკი; 9. ლარი; 10. ციბონა; 12. იკებანა; 14. ქცია; 15. პიკადელი; 16. წირვა; 18. პრადო; 21. უნცია; 22. ტრამვაი; 23. პორტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯიში; 2. ახო; 3. გარიბალდი; 4. ალაფი; 5. ზოსტერა; 8. შუმი; 9. ჰუპნოზი; 10. რობერტსი; 12. მცხეთა; 13. დაიმი; 15. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯანდარა; 6. ვატერლოო; 7. შაშვი; 10. რკინა; 11. ამური; 13. დანტე; 14. ბედია; 16. ელჩი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

სამგლოვიარო განცხადებები

მამუკა

გულთამხილავი ყოფილა ის მადლიანი, ვინც ეს სახელი დაანათლა ელისაბედ და მორის გოცირიძეების ოჯახში პირველშობილს; რომ ამ სახელით, შემდგომ, ქვეყანაზე ივლიდა ზნეწმინდა მაღალადამიანი, მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მოუხდეს შინაარსითა და კეთილხმოვანებით კაცი და სახელი ერთმანეთს. მამუკა ხომ „მამა გენაცვალოს“ სინონიმია – თბილი, ტევადი და მშობლიური.

ორმოცი დღე გავიდა, მაგრამ ძალიან გვიჭირს მისი არყოფნით გაცნობიერება, რომელიც მოულოდნელად, უდროოდ დადგა და ვერ დავუკავშირეთ გარდაცვალებას. აქამდე ეს განცდა უფრო ემოციური იყო, ბოლომდე გაუაზრებელი, პანიკურიც. ახლა ამ სევდას განსჯა ახლავს – როგორ ვიცხოვრეთ მასთან ერთად, რამე ხომ არ შეგვეშალა, რა დავაკელით, ვისი და რისი დარდი გაიყოლა...

გაიყოლა – ცრემლგამშრალი დედის მდუმარე, გაუსაძლისი მწუხარება; მეუღლის უფაქიზესი სიყვარული, გულისა და ხელების სითბო, ხელებისა, რომელთაც შეჭირვების ჟამს მკერდში იხუტებდა და შვებას პოულობდა; გაიყოლა მამაზე გულალალად მინდობილი, ერთადერთი ვაჟის, კაცური იმედები; ძმის, მამა გიორგის, მისი სულის გადასარჩენად მავედრებელი მხურვალე ლოცვა და საახლობლო-სანათესაოს სევდა, მონატრება და ამ ლოცვასთან შეერთხმებული ვედრება.

ბევრი ძვირფასი ადამიანი დაკარგა ჩვენმა სანათესაომ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, მათ შორის, მისი უმცროსი ძმა – ირაკლი... მაგრამ მამუკას გარდაცვალებამ ისეთი მძიმე მწუხარების გრძნობა დაგვიტოვა, თითქოს ყველა ერთად იმ დღეს დაგვეკარგოს.

ბედნიერები ვიყავით ყველა, ვინც ვიცნობდით და ვურთიერთობდით მამუკასთან... ბედნიერია ისიც, ვინც არ იცნობდა, რადგან მასთან განშორების სიმწარე არ განუცდია.

იცხოვრა ზნესრულობით და მის შემდეგ დარჩა სიკეთე, სიყვარული და შთამომავლობაში ბოლომდე განსახორციელებელი მისეული ფიქრები, ცხოვრების აზრი, წესი და ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური ნიჭი. მისი გარდაცვალება ვერასდროს გაიგივდება ცხოვრების აზრთან, რადგან ის ჩვენ წაგვერთვა, ჩვენ დაგვაკლდა როგორც დიდი იმედი, საყრდენი, ჭირისა და ლხინისუფალი.

მამუკასთან ურთიერთობის უარყოფითი მომენტები არ გვახსენდება, მაგრამ კარგად გვახსოვს, რომ იყო:

– დიდებული გვარისა და ოჯახის საამაყო შვილი;

– თავადაც სამაგალითო მეოჯახე;

– შეუდარებელი მასპინძელი და სასურველი სტუმარი;

– სანათესაოს სიამაყე, ბურჯი და იმედი, საინჟინრო აზროვნების ხელმარჯვე დიდოსტატი, გაჭირვების ტალკვესი;

– საიმედო კოლეგა და უღალატო მეგობარი;

– მიმტევებელი და ქუდნამუსიანი ვაჟკაცი;

– იყო საოცრად თავმდაბალი, უბრალო და ახლობელი, პირუთვნელი და სამართლიანი, ასხივებდა უდიდეს სიყვარულს, სიმშვიდეს, რწმენასა და იმედს.

სამწუხაროდ, იყო... ნათელში ამყოფოს.

მამუკასთან ყველაზე რიგიანი საამქვეყნო დამშვიდობება ალბათ ის იქნება, რომ ჩვენ არ მოვშლით მის ნათელ სახელს, არ მოვწყდებით იმას, რასაც სიყვარული და ხსოვნა ჰქვია.

პირველი თებერვალი მისი სასუფეველში ამაღლების დღეა, მაგრამ... თურმე ვინც გიყვარს და ვისაც უყვარხარ არასდროს მიდის შენგან, მაინც ერთად რჩებით. მამუკა ჩვენთან დარჩა ფიქრებში, მოგონებებში და ლოცვებში. მისი ცხოვრება შთამომავლობის მეხსიერებაში გაგრძელდება.

„უფალო, მიეც მას საუკუნო ხსოვნა“... ამინ!

ნათესავები, მეგობრები

რეზო თაბუკაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თენგიზ ალექსანდრეს ძე კირვალიძე

პანაშვიდი: 1, 2 თებერვალს;
დაკრძალვა: შაბათს, 3 თებერვალს, ქ. ზესტაფონში.

ლია გიგაური, მზია ქაჯაია, მაკა ჩხეიძე, ნალინა ძაგანია, გურამ ახალაია, ვოვა იოსელიანი, ზურა ჯაბახიძე თანაგრძნობას უცხადებენ ლალი სამხარაძეს ძმის

დათო სამხარაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნიკა თავაძე: „როდესაც ვერ უმტკიცებ, რა სიმძიმის დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი ადამიანს, უნდა გამოუშვა“

მსახიობი ნიკა თავაძე კოლეგის, გიორგი გიორგანაშვილის, იგივე ბახალას დაპატიმრებას და მისთვის 8-წლიანი პატიმრობის თემას ეხმაურება:

– აქამდე არ გამომიხატავს ჩემი პოზიცია იმის გამო, რომ არანაირი ინფორმაცია არ მქონდა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი კითხვა არ მასვენებს, რომელზეც პასუხი ვერ მივიღე. მიუხედავად ადამიანების ამხელა პროტესტისა და სამართლის დასადგენად არა ერთი მცდელობისა, მაინტერესებს, თუ ქვეყანას, ანუ ხალხს მიზანი აქვს კანონის აღსრულების და ეს ქვეყანა ამდენი წლის განმავლობაში ცდილობს და იბრძვის იმისთვის, რომ უზენაესი გახადოს კანონი, რათა ერთხელ და სამუდამოდ ნორმალურ, თუ გნებავთ დემოკრატიულ ქვეყანას დავემსგავსოთ, იყოს ტოლერანტული და ა. შ. და ამ ქვეყნის უმრავლესობა ირჩევს მთავრობას, რომლის მიმართაც მთავარი მოთხოვნა აქვს, რომ კანონის უზენაესობა უზრუნველყოს ქვეყანაში...

მაშინ აქედან გამომდინარე მიჩნდება ეს კითხვა: შეიძლება ინფორმაცია გვაქვს ადამიანზე, რომ დამნაშავეა. ნუ ასე თქვეს და... ხომ არ მოგვატყუებდნენ. რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ, ჩვენი პირადი დამოკიდებულებაც კი გვიჩნდება ამ ადამიანზე, რადგან ჩვენ გვითხრეს, რომ ის დამნაშავეა, მაგრამ გვითხრეს ხო?! მტკიცებულება ხომ არ გვაქვს, მაგრამ ვინაიდან გვითხრეს, თითქოს ეს უკვე საკმარისია. არა, ეს ნამდვილად არ არის საკმარისი!

ეჭვმიტანილზე ანუ ამ კონკრეტულ ადამიანზე უწყებამ, რომლის განკარგულებაშია მობილიზებული უამრავი საშუალება: ადამიანთა უზარმაზარი რესურსი, ტექნიკა, საექსპერტო ლაბორატორიები, კამერები, ჯიბის კამერები, კრიმინალური სამსახურები, მოსასმენი აპარატები, თითის ანაბეჭდების დასადგენი და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ... და სასამართლო ეყრდნობი ორი პოლიციელის ჩვენებას? ეს მტკიცებულებაა? ეს ნიშნავს, რომ მტკიცებულება არ გაქვს. ვერ ამტკიცებ.

ყველას გვესმის, რომ სამართლიანი სასამართლო ამ მტკიცებულებას არ მიიღებდა, რადგან ისევე შეუძლია პოლიციელს ჩაუდოს ნარკოტიკი, როგორც არ ჩაუდოს, არავის ქვეყანაზე ამ გარანტიის მოცემა არ შეუძლია. ესე იგი ეს მტკიცებულება არ არის!

მაინტერესებს, მიჩნდება კითხვა: აბა, რა მტკიცებულება არსებობს ადამიანზე, რომელსაც რვა წელი მიესაჯა?

ვიმეორებ, შეიძლება მაქვს ინფორმაცია, რომ ჩადის დანაშაულს, მაგრამ მტკიცებულება სად არის?

როდესაც ვერ უმტკიცებ, რა სიმძიმის დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი ადამიანს, უნდა გამოუშვა... თუ კანონზე ვლაპარაკობთ.

ნიკა თავაძის განცხადებას გამოეხმაურა რეჟისორი ქეთი დოლიძე:

– დიდი მადლობა ნიკა თავაძეს! ჩემზე კარგად არავინ იცის, ვინ არის გიორგი, რა ოჯახშია გაზრდილი, როგორ უვლის თავის ძმას და მთელ ოჯახს! წარმოუდგენელია! წარმოუდგენელი! 8-ჯერ 365 დღე! წელი! გირგვლიანის მკვლელები კი გარეთ დაეთრევიან! სადაა სამართალი?! ციხეში ვინ გამოსწორებულა ან ვინ არ დამახინჯებულა? ერთი კახი კახიშვილი უშველის ამ უბედურებას?

ხელოვნების სასახლეში ლაპიდარიუმი მოეწყო



ხელოვნების სასახლეში ევროპული ტიპის ლაპიდარიუმი მოეწყო.

ინფორმაცია და ფოტოები ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ ინტერნეტში გაავრცელა:

– ჩვენ სასახლეში ევროპული ტიპის ლაპიდარიუმი მოვაწყვეთ, ასეთი, მგონი, საქართველოს არც ერთ სასახლეშია, წარმოდგენილია ძირითადად ანტიკური ხანის, ან ადრექრისტიანული მარმარილოს კაპიტელები ცაიშიდან, მე-19 საუკუნის მარმარილოს ქანდაკება ასევე ცაიშიდან და მე-17 საუკუნის კაპიტელის ფრაგმენტი კორცხელიდან, მარმარილო, სავარაუდოდ ევროპიდანაა შემოტანილი. აღნიშნული ლაპიდარიუმის მოწყობის იდეა ჩემი იყო, თუმცა ჩემმა მოადგილემ ირაკლი ზამბახიძემ საოცრებები ჩაატარა და შესანიშნავი ექსპოზიცია მოაწყო კედელზე, ყველაფერი მისი ხელითაა გაკეთებული, ლომის წვლილია გიორგი ჩაფრავასი, ირაკლი ჭითანავასი და ლაშა აჩელაშვილისა. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელს ნიკა ანთიძეს, რომლის ავტორიტეტული და საქმიანი შემწეობით ეს უნიკალური საგანძური მუზეუმში გადმოვიტანეთ, მადლობა მეუფე გერასიმეს, მამა ზაბულონს და დარეჯან კვარაცხელიას, რომელთა დახმარებით ვაგროვებდით ფრაგმენტ-ფრაგმენტ ეზოებსა და ნანგრევებში გაფანტულ ამ ძვირფას საგანძურს, ეს პირველი ეტაპია, ლაპიდარიუმი მალე უფრო დიდი და შთამბეჭდავი გახდება.

11 ქართული ფილმი საქართველოში დაბრუნდა

რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდიდან“ საქართველოს 11 ქართული ფილმი დაუბრუნდა. ფილმები 1925 წლიდან 1975 წლამდე პერიოდშია გადაღებული და ესენია რეჟისორ მიხეილ კობახიძის „ქორწილი“, „ქოლგა“, „მუსიკოსები“; ბაადურ წულაძის „ფეოლა“, ელდარ შენგელაიას „შერეკილები“, ლეო ესაკიას „ფრთოსანი მღებავი“, კოტე მიქაბერიძის „ქაჯეთი“, ალექსანდრე წუწუნავას „ვინ არის დამნაშავე“, კოტე მარჯანიშვილის „ამოკი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“.

აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოსთან ერთად ჩართულია კერძო სექტორიც.

– კულტურის სამინისტროსა და „გოსფილმოფონდს“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მოსკოვში დაცული ქართული ფილმები სამშობლოს უბრუნდება. ეს პროცესი დაწყებულია და დღეისთვის უკვე 15 ფილმია ჩამოსული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში კერძო სექტორი დაგვიდგა გვერდით. ბიუჯეტი ამ მიმართულებით გასამმაგდება, იმისათვის, რომ უფრო მეტი ფილმი დაუბრუნდეს სამშობლოს და რაც შეიძლება მალე დამთავრდეს აღნიშნული პროცესი, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

როგორც ფილმის „შერეკილები“ რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის საზეიმო დღეა, რადგან დაიწყო ქართული ფილმების ჩამოტანა მოსკოვიდან. წლების განმავლობაში ეს არ ხდებოდა. როგორც იქნა, კულტურის სამინისტრომ და ეროვნულმა კინოცენტრმა დაიწყეს ეს პროცესი.

როგორც გაირკვა, სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთობლივად მუშაობს, რათა დააბრუნონ ყველა ის ქართული ფილმი საქართველოში, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარეთ ოქროს ფონდებშია გაბნეული.

მიქელანჯელოს გრაფიკული ნამუშევრები უკვე საქართველოშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ძის სახელობის ეროვნული გალერეა უმასპინძლებს რენესანსის ეპოქის იტალიელი მოქანდაკის, მხატვრის, არქიტექტორისა და პოეტის მიქელანჯელო ბუონაროტის 6 გრაფიკულ ნამუშევარს ფლორენციის „კაზაბუონაროტის“ მუზეუმიდან რომლის კოლექცია, მიქელანჯელოს სხვა შედევრებთან ერთად, ინახავს 200-ზე მეტ ჩანახატსა და ხელნაწერს, ბუონაროტის საგვარეულოს სხვადასხვა თაობის მიერ შეგროვებული სურათების, ქანდაკებებისა და არქეოლოგიური ნიმუშების მდიდარ კოლექციას.

სიცოცხლეშივე ყველა დროის უდიდეს ხელოვანად აღიარებულმა მიქელანჯელომ, გამორჩეული ხელწერისა და ვირტუოზული ტექნიკის წყალობით, სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქანდაკებასა და მხატვრობაში და საკუთარი შემოქმედებით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი გენიოსთა შორის.

ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილი იქნება მიქელანჯელოს მიერ 1508-1510 წლებში სიქსტეს კაპელის მოხატულობაზე მუშაობის პერიოდში შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები. დამთვალიერებელი იხილავს ადამიანის სახისა და სხეულის გრაფიკულ დეტალებს, მათ შორის ხელის გამოსახულებას ფრესკისთვის „ადამის შექმნა“ და ფიგურებს ფრესკისთვის „სამოთხიდან განდევნა“. ექსპოზიციაში ჩართული იქნება მულტიმედია. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ იხილონ დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა მიქელანჯელოს აღმოსაჩენად“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 1 თებერვალი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ან/ფ "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩანტო ვებრინე**" **10.00, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15, 21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.25, 20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **14.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.30** დოკ/ფ **16.30,** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **22.15** მხ/ფ "**ოკეანის სიღრმეში**" (მ.პფაიფერი) **00.00** მხ/ფ "**პოლარული დათვი**" (მ.რუფალო) **01.25** მხ/ფ "**მწარე სიმართლე**" (კ.ჰაიგლი) **04.00** მხ/ფ "**შემთხვევით შეხვედრილი გულები**"(ჰ.ფორდი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფაპორიტი**" **10** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.00** მხ/ფ "**სამი ცხრიანი**" **02.00** მხ/ფ "**სასიკვდილო დარტყმა**" **04.00** მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**აფარული ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ოთხი ისტორია**" **22.00** პროფილი **23.30** გაცინე და მოიგე **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამენზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ნინო ჟიჟილაშვილის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** რეალქცია **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-2**" **12.00, 21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 9**" **17.00** სერ. "**ქუანტიკო-2**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 3**" **22.30** სერ. "**ვიკინგები**" **00.30** მხ/ფ "**თორი**" **02.30** მხ/ფ "**თორი - ბნელეთის სამეფო**" **04.30** მხ/ფ "**აღრენალინი**" **05.00** მხ/ფ "**აღრენალინი 2**" **06.40** მხ/ფ "**არ დაინდო**"

08.00 ანანდა **08.10** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.05** სერ. **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.00** თავისუფალი სივრცე **21.00** სერ. "**პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ბაბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** სერ. "**ვალანდერი**"

06.10 საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ "**მეგობარა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** მოკ/ფ "**ქერი**" **09.15** მულტფილმი "ალადინი, ჯაფარის დაბრუნება" **10.20** მხ/ფ "**მაგდანას ლუარჯა**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**ველური**" **13.25** კონცერტი - სალომე ჟორდანია **15.05** მხ/ფ "**ალუა**" **16.25** კონცერტი - დარბაზობა - მარიკა კვალიაშვილი **18.15** კონცერტი - მარტა არგერიში **19.00, 22.00, 00.10** სიიანლენი **19.25** მხ/ფ "**მე დავბრუნდები**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** ჩვენი ფონდი " წმინდა მამა ანტონ მარტყოფელი" **22.20** მოკ/ფ "**კირილეს ოდისეა**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" **23.35** მოკ/ფ "**ნუ მოიწყენთ შემოდგომისას**" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მხ/ფ "**ლაქა**" **02.00** კონცერტი -ალაჩიდო დომინგო და პატრიცია კაასი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.4969
- ევრო — 3.1016
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5189
- 100 რუსული რუბლი — 4.6647

ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისთვის

1 თებერვლიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

6 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი ტომი 6-7

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

მიქელანჯელოს გრაფიკული ნამუშევრები უკვე საქართველოშია

„მიქელანჯელო და სიქსტეს კაპელა“ – გრაფიკული ნამუშევრები – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 2 თებერვალს გაიხსნება.

მიქელანჯელო ბუონაროტის გრაფიკული ნამუშევრების ექსპოზიციას წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული მუზეუმი და იტალიის საელჩო საქართველოში. დიმიტრი შევარდნა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ფილიპე კოუტინიო დროებით ლივერპულში დაბრუნდება

ბარსელონას ახალწვეული ფილიპე კოუტინიო თავის ყოფილ თანაგუნდელებს გამოემშვიდობება და ის ლივერპულში წვეულების გამართვას აპირებს.

ამის შესახებ კოუტინიოს ყოფილმა თანაგუნდელმა ადამ ლალანამ დაწერა სოციალურ ქსელში.

თვითონ კოუტინიომ ასევე განაცხადა რომ მას სურს დროებით ლივერპულში დაბრუნება და თავის თანაგუნდელებთან დამშვიდობება.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ როდის გამართავს კოუტინიო გამოსამშვიდობებელ წვეულებას ლივერპულში.

სამუელ ეტოო კონიასპორში გადავიდა



ბარსელონას და ინტერის ყოფილი ფეხბურთელი სამუელ ეტოო ამჟამად თურქეთში თამაშობს და კარიერას კონიასპორში გააგრძელებს.

აქამდე ეტოო ერთი წლის მანძილზე ანტალიასპორის ღირსებას იცავდა, სადაც ის გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო.

კამერუნელი ფორვარდი უკვე 36 წლის არის და ის სავარაუდოდ მალე დაასრულებს კარიერას.

თავის დროზე ეტოო რონალდინიოსთან ერთად ბარსელონას ლიდერი იყო და ამ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ჟურნალისტი ინტერვიუს იღებს ახალგაზრდა წარმატებული ადვოკატისგან:

– შეგიძლიათ მომიყვეთ, თქვენს პირველ წარმატებულ საქმეზე?

– ჩემი პირველი საქმე იყო დედაჩემზე მამაჩემის მიერ განხორციელებული სქესობრივი ძალადობის საქმე.

– და რა იყო მთავარი არგუმენტი დედათქვენის მიერ გადატანილ ტანჯვა-წვალებაში?

– ის, რომ მე დავიბადე...

•••

ჰოლივუდის მსახიობი ქალი სარკის წინ ჩაფიქრებული ტრიალებს და საკუთარ თავს ეუბნება:

– კიდევ რა შეიძლება გავიხადო? თორემ უკვე მესამე დღეა ჩემზე სექსუალურ ზეწოლას არავინ ახდენს...

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, იმიტომ უნდა ვისწავლო იურიდიულზე, რომ ყველა კანონი დავიცვა?

– არა, შვილო, ჭკვიანურად გვერდი რომ აუარო!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– რამდენიმე დღის წინ შემთხვევით ვიაგრას აბი უნიტაზში ჩამივარდა.

– მერე?

– იმის მერე თავსახურს ვერ ვახურავ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორაა საქმე?

– როგორ და ამ ქვეყანაში უფასო ექიმს ვერაფრით დაუმტკიცებ, რომ ავად ხარ, ხოლო ფასიანს, რომ ჯანმრთელი ხარ!

•••

სახლში დაბრუნებული შვილი მამას ეუბნება:

– მამა, სკოლაში გიბარებენ.

– რა მოხდა?

– ისევ მინა ჩავამტვრიე.

– რა ამბავია, სკოლაა თუ ორანჟერეა?

•••

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს ფსიქიატრიულია?

– დიახ.

– ჩემი მანქანა მოიპარეს და ქურდის პოვნაში დამეხმარეთ.

– ჩვენთან კი არა, პოლიციაში უნდა დარეკოთ.

– იცით რაშია საქმე, 1986 წელს გამოშვებული „მოსკვიჩი“ მომპარეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

არსენ ვენგერი შესაძლოა მიკელ არტეტამ შეცვალოს

სეზონის ბოლოს არსენალის მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი სავარაუდოდ თანამდებობას დატოვებს და მის შემცვლელებზე უკვე აქტიურად მიდის საუბარი.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ვენგერის მაგივრად არსენალში მიკელ არტეტა მოვა, რომელიც წლების მანძილზე ამ გუნდის ფეხბურთელი იყო.

ამჟამად არტეტა მანჩესტერ სიტიში მუშაობს და ხოსეპ გვარდიოლას ერთ-ერთი თანაშემწეა. ჯერჯერობით თვითონ არტეტას ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა რამდენიმე თვის წინ მან განაცხადა, რომ არსენალში დაბრუნებაზე უარს არ იტყოდა.

ობამეანგი ოფიციალურად არსენალის ფეხბურთელია

გაბონელი თავდამსხმელი პიერ ემერიკ ობამეანგი ოფიციალურად არსენალის ფეხბურთელია და უახლოეს დღეებში ის გუნდს შეუერთდება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხა გადაიხადა არსენალმა ობამეანგში. საუბარია 60 მილიონ გირვანქა სტერლინგზე, თუმცა ეს რიცხვი შესაძლოა ბოლომდე ზუსტი არ იყოს. ობამეანგი არსენალმა სანჩესის შემცვლელად იყიდა, რომელიც მანჩესტერ იუნაიტედში გადავიდა.

მარკ ბარტრა ბეტისში გააგრძელებს კარიერას



ესპანელი მცველი მარკ ბარტა სამშობლოში დაბრუნდა და კარიერას ბეტისში გააგრძელებს. მან ბეტისთან 5 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მარკ ბარტრა ბარსელონას აღზრდილია, ხოლო ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ის დორტმუნდის ბორუსიას ღირსებას იცავდა, თუმცა წლევანდელ სეზონში მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, რაც გახდა კიდეც მისი გუნდიდან წასვლის მიზეზი. ბარტრას თქმით, ის ძალიან ბედნიერია ესპანეთში დაბრუნებით და მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც მოედანზე ბეტისის მაისურით გამოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 5. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირი ქორწილში; 6. ნიადაგის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 7. მათემატიკის ნაწილი; 11. საგნის ზეპირად გადმოცემა უმაღლეს სასწავლებელში; 13. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. მდინარე ახალციხეში; 16. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 17. კურორტი, ნავსადგური საქართველოში; 19. საშობაო სიმღერა; 20. მდგომარეობა ჭადრაკში.

თარაზულად: 1. ისტორიული მოედანი პარიზში; 4. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. ქვით ნაგები ღობე; 10. მდინარე ყვირილას შენაკადი; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და „პ.ს.ჟ“-ს ფეხბურთელი; 14. მაღალმთიანი სოფელი ხევსურეთში; 15. ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 16. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 21. ზღვის ფრინველი; 22. რაიონული ცენტრი სვანეთში; 23. ბანქოს სათამაშო მაგიდა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა